„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ. № 44.

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ღია ყოველ დღე, გარდა 10 დეკ.—11 დეკ. 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 20. კვირა, 29 მაისი 1905 წლისა. № 20.

შინაარსი. თფილისი, 29 მაისი.—თავად-აზნაურთა დასახასიათებლათ, ი. ბესელიძისა.—სხვა და სხვა ამბები.—დაბა-სოფლის ამბები.—რუსეთის ქრონიკა.—ჯადოქრები და თვალთმაქცები, თაგუნასი,—თფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოება და მისი მოსამსახურეები, დამსწრესი. — თფილისის ქალაქის მოურავის მოხსენება. — ტანისამოსის სამკერვალოები თფილისში.—საფრანგეთის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში (გაგრძელება), ანისა.—დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა.—ეურნალ-გაზეთებიდან.

თფილისი, 29 მაისი.

რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების სრული განახლება დღეს აშკარათ, მთელი თავისი ძლიერებით, წინ გვიდგას. აქ არ არის ლაპარაკი ერთი რომელიმე მხრის, ერთი რომელიმე კერძო საკითხის, თუნდაც დიდ მნიშვნელოვანის, გადაწყვეტაზედ. დღეს ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როცა ერთი დიდი, საყოველთაო მნიშვნელობის საქმე უნდა შევასრულოთ. ადვილი არ არის მისი შესრულება. მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში ქვეყნის საუკეთესო შვილები განურჩევლათ წოდებისა და სქესისა მისთვის სდებდენ თავს, მისთვის მუშაობდენ თავდაიწყებამდის. უკანასკნელ 10-15 წლის განმავლობაში ეს ბრძოლა მეტათ გამწვავდა და თითქმის სამოქალაქო, შინაურ ომათ გადაიქცა. ბევრი საუკეთესო მამულიშვილის სისხლი დაიღვარა, ბევრი მათგანი იქნა სამართლიანისაგან გაძევებული და გადასახლებული. მაგრამ ეს კიდევ ადარ გვაკმარეს. ძველმა, დროს გადასულმა წესწყობილებამ, რომელიც დიდი ხანია ხალხის სულითამხუთავათაა გადაქცეული, გამოიწვია შორეულ აღმოსავლეთში ყოვლად საზიზღარი და უმაგალითო სისხლის ღვრა. საჭირო იყო ასი-ათასობით მამულიშვილების გაწყვეტა და მილიარდების გაფლანგვა, რომ რუსეთის საზოგადოებას ხმა ამოელო და აშკარათ დაეგმო ის სამარცხვინო წესწყობილება, რომელმაც ყოველივე ეს მოიმოქმედა.

სულ ცოტა ხნის განმავლობაში ჩვენ ვეყავით იმის მოწმე, თუ როგორ იზრდებოდა და მატულობდა საზოგადოებაში უკმაყოფილება დღევანდელი ბიუროკრატიული მთავრობის წინააღმდეგ. თითოეული დამარცხება ბრძოლის ველზე აორკეცებდა და აძლიერებდა საზოგადოებაში ამ უკმაყოფილებას. მოსალოდნელი იყო, რომ უკანასკნელი დამარცხება, ე. ი. ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრის სრული განადგურება, იმ ესკადრის, რომელზედაც ასე დიდ იმედებს ამყარებდენ ბიუროკრატიის წარმომადგენლები, საზოგადოების უკმაყოფილებას უკიდურეს ხარისხამდე მიიყვანდა, და მართლაც, რისი ან ვიღასი იმედი უნდა ჰქონოდა ამოდენა უდანაშაულო ადამიანთა სისხლში ამოსვრილ, შინ და გარეთ შერცხვენილ ბიუროკრატიას, თუ არ კაცთ მოძულე და ბნელის მოყვარულ პირთა, როგორიც არიან გრინგმუტები, მეშჩერსკები, და ძმანი მათნი! ეს ასეც მოხდა, იმ დროს, როცა ყველანი, განურჩევლათ მიმართულებისა და პარტიული პროგრამისა, ხმა-მაღლა გაიძახიან ხალხის წარმომადგენლების დაუყოვნებლივ შეერთებაზე და ბიუროკრატიის წყალობით მოვლენილ საერთო უბედურების თავიდან ასაცილებლათ, ამ დროს მხოლოთ გრინგმუტის ხრინწიანი ხმა გაისმის სამხედრო დიქტატურის შემოღებაზე რუსეთის ხალხის ბრწყინვალე ელემენტების, მისი საუკეთესო წარმომადგენლების ამოსაწყვეტათ, რათა ბიუროკრატიამ, როგორც აქამდის, თავისუფლათ გზავნოს შორეულ აღმოსავლეთში მსხვერპლნი და დაურცხვენელათ ფლანგოს გაყვლეფილი ხალხისაგან ანაგლეჯი მილიონები. მაგრამ ეს დღეს შეუძლებელია, ფუჭი ოცნებაა. ხალხის სურვილი უკვე გამოირკვა: ხალხის წარმომადგენლების შეკრება, დამფუძნებელი კრების მოსაწყობათ, ომის შეწყვეტა, ბიუროკრატიული წესწყობილების დამხობა,—უამისოთ შეუძლებელია ხალხის დამშვიდება, საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობის შეჩერება, და მით უმეტეს მისი მოსპობა. ამას თხოულობენ დღეს ისინიც კი, ვინც ყველაზე უფრო ხელს უწყობდა ჩვენ ბიუროკრატიას მის სამარცხვინო მოღვაწეობაში, ამას ამბობენ კაპიტალისტების წარმომადგენლები, მრეწველები, ე. ი. ისინი, ვინც მთავრობას უსისხლებდა მუშა ხალხს, ვინც მთავრობას აქეზებდა ახალ ქვეყნების შესაძენათ, რათა ახალი ბაზარი მოეპოვებიათ თავიანთ საქონელისთვის. 19 მაისს, როცა კუნძულ ცუსიმასთან მომხდარ ბრძოლის შედეგი უკვე გამოირკვა, მრეწველობის წარმომადგენლებმა, რამლებიც მოწვეული იყვენ მუშათა საკითხის გამოსარკვევათ დაწესებულ კომისიაში მონაწილების მისაღებათ, ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს მოახსენება წარუდგინეს, სადაც ისინი ამბობენ რომ იმ საერთო უბედურების დროს, რომელიც დღეს თავს დაატყდა რუსეთის ხალხს თუ შინაურ ამბოხებათა, თუ გარეთ დამარცხების გამო, ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილათ შევყურებდეთ ყოველსავე ამას და თქვენთან მუშაობა განვაგრძოთ. გთხოვთ ხელმწიფე იმპერატორს გადასცეთ ჩვენი ღრმა და გულწრფელი რწმენა, რომ დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობისაგან რუსეთს დაიხსნის მხოლოთ დაუყოვნებლივ ხალხის წარმომადგენლების მოწვევაო. თუ ამას ამბობენ ბურჟუა კაპიტალისტები, თუ ასეთ გადაწყვეტილებას აღგებიან ისინი, ვისი არსებობა ხალხის გაყვლეფაზეა დამყარებული, რაღას უნდა ამბობდენ, რაღას უნდა თხოულობდენ ისინი, ვინც მართლა მშრომელ ხალხის, პროლეტარიატის ინტერესებს იცავენ? მაგრამ მარტო ყვირილი არ კმარა, მარტო სიტყვებით ვერაფერს გახდებიან. ამიტომ საჭიროა ბრძოლა, ბრძოლა მედგარი. ამიტომ, ვისაც მართლა გულწრფელათ სურს მშვიდობიანობის დამყარება, ხალხის უბედურებისაგან გამოხსნა, ის უნდა შეუერთდეს იმათ, ვინც უკვე დიდი ხანია იბრძვის ყველა იმის მოსაპოვებლათ, რასაც მონობიდან დახსნა, ადამიანის პიროვნების განთავისუფლება ეწოდება. ეს არის მუშა ხალხი, ქალაქის და სოფლის პროლეტარიატი. მაგრამ ნურა-

ვინ იფიქრებს, რომ ეს შეერთება საერთო, მახლობელ მიზნის მისახწევათ, რაიმე ერთ იოტას ოდენა დათმობას მოასწავებდეს. ჩვენ კარგათ უნდა გვახსოვდეს, რომ სანამ დღევანდელი საზოგადოება არსებობს, სანამ ბურჟუაზიული წესწყობილება სრულებით არ დაინგრევა, პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იქნება. დღევანდელი შეერთება სრულებით არ ნიშნავს იმათ დაძმობილებას და დამეგობრებას. დეე, ამაზე ნურავინ ფიქრობს. ამიტომაც არის, რომ ჩვენ ვგმობთ და ვკიცხავთ იმათ, რომლებიც ხალხის დღევანდელი აღელვებული და აღშფოთებული მდგომარეობით სარგებლობენ, დემოკრატიულ მანტიაში ეხვევიან ხალხის თავისაკენ მისამხრობათ. ვინც ასე იქცევა, ვინც ხალხის განთავისუფლების დროს ნაციონალისტის დროშით გამოდიან და რაღაც ავტონომიას ჩამახავენ, ისინი ნებსით თუ უნებლიეთ ხალხის ნამდვილი მტრები არიან. ერთი სიტყვით, დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ დღეს უნდა გადაწყდეს რუსეთის ხალხის ბედ-იღბალი. ან დღეს უნდა მოხდეს მისი განთავისუფლება, ან არასოდეს!

თავად-აზნაურთა დრუჟინის დასახასიათებლათ.

17 მაისს მე და ჩემი მეგობარი ურმით მოვდიოდით სოფ. ცეროწისიდან (გორის მაზრა), სადაც სტუმრათ ვიყავით თ. ს. ფალავანდიშვილთან. თითქის ორ ვერსზე მეტი გვქონებოდა გამოვლილი ს. აბისიდან, როდესაც, ცხენით წამოგვეწია თ. მ. დ. ციციშვილი და გვთხოვა ცოტა ხნით სოფ. აბისში დაბრუნება, სადაც თურმე იმყოფებოდა თავად-აზნაურთა დრუჟინა, რადგანაც დრუჟინის კომიტეტს სურდა ჩვენთან რაღაცა საქმეზე მოლაპარაკება. ჩვენ თვითონ გვაინტერესებდა დრუჟინის ნახვა და ამისათვის დავთანხმდით ამ წინადადებაზე.

თ. ციციშვილს ვთხოვეთ დიდი ხნით არ გავეჭერებინეთ. თავადმა მოგვცა პატიოსანი სიტყვა, რის შემდეგ ჩვენ დავბრუნდით.

გზაში დაგვხვდა თორმეტამდე შაიარაღებული თავად-აზნაური (მილიციონერები) და შემოგვერტყენ გარს. ჩვენ ცოტა არ იყოს ეჭვის თვალით შევხედეთ ასეთ საქციელს, მაგრამ ყურადღება არ მივაქციეთ. ჯერ აბისში არ ვიყავით მისულნი, მე ურმიდგან ჩამოსვლა მოკიდმომე, მაგრამ არ მომცეს ნება; ხუმრობა მეგონა და დავაპირე გადმოსვლა, აქ კი თავადმა მიშო ფავლენიშვილმა შემომიტია: უფროსისაგან არა მაქვს ნაბრძანები, და ვერ მოგცემ ჩამოსვლის ნებას, სანამ უფროსთან არ წარგადგენო; იძულებული გავხდი დავმორჩილებოდი უფროსის ბრძანებას. ამ რიგათ ვიგრძენ თავი მიპატიჟებულათ კი არა, დატუსაღებულათ. ასეთი ამბით ეს ორი დამნაშავე მიგვიყვანეს ს. აბისში, და წარგვადგინეს უფროსთან. ბ. უფროსმა ზურაბ აბდუშელიშვილმა (უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულია) გამოგვიცხადა სურვილი რომ ჩვენთან მოლაპარაკება სურდა. ჩვენ დავთანხმდით. უფროსმა მოიწვია მოწინავე მილიციონერები, ე. ი. ასის-დათის თავები, რომელთა რიცხვში ნახავდით ბ. ნ. სულხანიშვილს, უპირველესათ ბ. უფროსი შეუდგა იმის გამოძიებას, თუ რად ან რისთვის ვიყავით სოფელში. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ვიყავით ს. ცეროწში სტუმრათ თ. ს. ფალავანდიშვილთან და გვთხოვა კეკელ-მალულობისათვის თავი დაგვენებებინა, ამასთანავე დიდი რიხით და ავტორიტეტიული კილოთი გამოგვიცხადა, რომ თქვენ აგიტატორებათ ხართ მოსულნიო. მათის აზრით თ. ლევან ამირაჯიბი ს. მცაში მოკლეს ჩვენი ჩაგონებით, ჩვენ გავავრცელეთ ხმა, რომ სოფელ მცაში მოკლეს მსუქანი ლორი, რომლის ხორციც გირვანქა 15 კ. იყიდება. ჩვენისავე ჩაგონებით გლეხებმა არ მისცეს ნება მიცვალებული სოფელ ავლევში ამოესვენებინათ და სრულიათაც არ შეიარებიან ახლოს, რის გამოც მიცვალებული მანქანაზე ყრია. უპატრონოთ, რომ ჩვენ დავლივართ სოფელ-სოფელ და ვამხეცებთ გლეხებს თავად-აზნაურებზე, რათა სრულიათ ამოსწყიტონ ისინი. ჩვენ ვეხოვეთ დაუყოვნებლივ სოფელში ასვლა და სიმართლის გამოკვლევა, მაგრამ ბ. უფროსი არ დაგვთანხმდა, ვინაიდგან მარშრუტის ძალით მეორე დღეზე ადრე არ შეეძლოთ წამოსვლა. ჩვენ, როგორც მოსამსახურე ხალხს, არ შეგვეძლო დარჩენა, თუმცა მე იმდენათ გამაბრაზა იმათმა საქციელმა, რომ მზათ ვიყავ დავრჩენილიყავ და კიდეკაც გამოვუცხადე ჩემი სურვილი. მხურვალე მონაწილეობას ჩვენი პიროვნების ლაფში ამოსვრაში იღებდა, მკითხველებისათვის უკვე ნაცნობი რაინდი, სტუდენტი რაჟის პოლიტეხნიკუმისა ნ. სულხანიშვილი, ტირძნიელი, რომელმაც ჩვენ ჯერ ს. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გვიწოდა და მერე მეჩექმეები დაგვიძახა. ბ. სულხანიშვილი სიბრაზით დორბლებსა ყრიდა და ტარიელ მკლავაძისებური მუშტები ისე ახლო მოჰქონდა ჩვენ ცხვირთან, რომ იძულებული ვხდებოდი უკან დაგვეწია. ამ დროს დანარჩენი მილიციონერები, რიცხვით ორასამდე, უშჯერ სიტყვებით ილანძღებოდენ და იწყოდენ ჩვენკენ. მილიციონერები ერთხმათ თხოულობდნენ ჩვენ დატოვებას და მილიციაში ჩარიცხვას; ამასვე თხოულობდენ მოწინავენი და თვით უფროსიც; გვეგონებოდენ, რომ ყოველი პატიოსანი ქართველი მოვალეა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ისეთ დაწესებულებაში, როგორიც არის თავად-აზნაურთა დრუჟინა.

ჩვენ უარი გამოუცხადეთ. მოკლე თათბირის შემდეგ, რომელიც ჩვენ დაუწერებლათ მოხდა, ბ. სულხანიშვილმა გამოგვიცხადა, რომ ჩვენ უნდა მადლობელნი ვიყოთ მათი რაინდული გულკეთილობისა, რათა გაუმათრახებელნი გადავრჩით. ასეთი წყალობა იმიტომ მოიღეს გულკეთილ რაინდებმა, რომ ჯერ არ ყოფილან დარწმუნებულნი ჩვენ დანაშაულში. უყურადღებოთ არც ახლათ შეთითხნილმა პუგაჩოვმა დაგვტოვა. მოკვეთა ნება ქალაქში დავბრუნებულიყავით, ამ პირობით კი, რომ კვირას ვეახლებოდით მათ ცხინვალში. ჩვენ სიტყვა მივეცით. მაგრამ ვაცხადებთ, რომ არავითარი სურვილი არა გვაქს დავბრუნდეთ იმ დიდებულთა ბრბოში, და არც არავითარი მნიშვნელობა აქვს ძალით გამოტაცებულს სიტყვას. ბ. უფროსმა გვთხოვა მიგვეცა ხელ წერილი რომ საწინააღმდეგო არა გვაქს რა საერთოო თავად-აზნაურობასთან და კერძოთ მილიციასთან.

დასასრულ უფროსმა შემდეგი მუქარით მოგვმართა: თუ არ მოიშლით სოფელ-სოფელ წიალს და გლეხების ჩვენზე ამაედერებას, ნუ გგონიათ რომ ფონს გახვიდეთ, ვინაიდგან ჩვენში ჯერ არ გამქრალა მხედრული სიმამაცე და თუმცა რიცხვით გაცილებით ნაკლები ვართ, გლეხების დამორჩილებას მაინც შევძლებთო. ბ. უფროსის ანგარიშით თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში 140,000 თავად-აზნაური ყოფილა. როგორც იქმნა მოვრჩით ამ გვარ წამებას. უფროსის ბრძანებით ურემი შევგვიბეს, მაგრამ ჩვენი მეურმე აღარსად ჩანდა. მილიციონერები საშინლათ გაბრაზდენ, წინააღმდეგი იყვენ ჩვენი განთავისუფლებისა და გვიხსენიებდენ ისეთი უწმაწური სიტყვებით, როგორსაც მარტო მათგან უნდა მოელოდეს კაცი. ბ. უფროსმა მართლაც ვამოიჩინა გულკეთილობა. თვითონ იკისრა მეურმეობა და დაბრძანდა ურმის თავზედ; ჩვენ ყოყმანი დავიწყეთ და ვსთხოვდით ვინმე მეურმე ეშოვათ. უფროსმა გვიბრძანა ურემზე დაჯდომა და ჩვენც შეცასრულეთ

ბრძანება, ამ რიგათ გაუდექით გზას. აქ კი მილიონერებმა ასტეხეს საშინელი ყვირილი და ემუქრებოდენ სრულიათ დაშლას. უფროსი შეეჭრიანდა. ჩვენც ურჩიეთ დარჩენა, მაშ ჩვენ ქალაქში ჩასვლას ხომ ვერ ვანაცვალებდით საქართველოს სიამაყეს. ამ ნაირათ ჩვენ რიგიც იყო განვთავისუფლდით ხუთი საათის დატყვევების შემდეგ. ეი, ბატონებო, ის მილიცია, რომელსაც განზრახვა აქვს ქართლში მშვიდობიანობა ჩამოაგდოს, რომელსაც სურს დაიცოს ხალხი ძალმომრეობისაგან. ამავე დროს ეს ვაჟბატონები სრულიად უდანაშაულო ხალხს ჰპერენ, ათას ჭვარ შეურაცხყოფას აყენებენ, და ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც დარწმუნებულიც არ არიან კაცის დანაშაულში. ჩემის აზრით, გაზეთებში მოყვანილმა საბუთებმა მათ შესახებ საკმაოთ გამოარკვიეს. მათი ფიზიონომია და ამისათვის დრო არის მიაქციოს საზოგადოებამ ღირსეული ყურადღება, რათა ისეც აულაგმავმა ბრბომ უფრო ძვირი არ წაიგლიჯოს. ამ დაწესებულებაში გარდა სულხანიშვილისა არიან შენდეგი სტუდენტები: მოსკოვის უნივერსიტეტისა ა. დ. ცაციშვილი,—ოდესის. ი. ლ. ციციშვილი. ხსენებულ დრუჟინის საქმეებს განაგებს კომიტეტი, რომელიც შესდგება 18 წევრისაგან. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ გორის მაზრაში ხმა გავრცელდა, ვითომ ხსენებულ კომიტეტის წევრებათ სხვათა შორის ირიცხებიან: ალ. ყიფშიძე, ნ. ზ. ცხვეთაძე და მიხეილ მაჩაბელი.

იოსებ ბესელიძე.

სხვა და სხვა ამბები.

პეტერბურგიდან 13 მაისს შემდეგი ოფიციალური დეპეშა მოვიდა:

ბრძანება უმართებელეს სენატისადმი. ჩვენ ვბრძანებთ: 1) დაარსებულ იქნას კავკასიაში პოლიციის უფროსის თანამდებობა ჩვენ მიერ დამტკიცებულ დებულების ძალით; 2) გაიხსნას პოლიციის უფროსის კანცელიარია; 3) პოლიციის საიდუმლო ხარჯებისათვის გადაეცეს კავკასიის ნამესტნიკს ყოველწლიურათ ასი ათასი მანათი. ნამდვილზე აწერია ,,ნიკოლოზ''.

— როგორც გაზ. ,,ბაკუ'' გადმოგვცემს, 19 მაისს ბაქოში, ტელეფონის ქუჩაზე პოლიციას და ჟანდარმებს 20 გაუტენელი ყუმბარა აღმოუჩენიათ. შეუპყრიათ სამი კაცი.

— 20 მაისს ბათუმში ყაზახ-რუსებს და სალდათებს ალყა შემოურტყამთ იმ ღმნისათვის, რომელიც დონდუკოვ-კორსაკოვის, კათოლიკეთა, თფილისის და კავკავის ქუჩებს შუაა მომწყვდეული. ალყის შემორტყმის შემდეგ დაუწყიათ მთელი უბნის გაჩხრეკა.

— 18 მაისს სოფ. ჰილურტის (დუშეთის მაზრა) გლეხებს და მემამულეებს შორის დიდი ჩხუბი მომხდარა. ჩხუბში დაიჭრა მემამულე ფარეშიშვილი და რამდენიმე გლეხი. ჩხუბი გამოიწვია შემდეგმა: ფარეშიშვილს შეშა მოუპრია იმ ტყეში, რომელსაც გლეხები თავის საკუთრებათ თვლიდენ.

— 18 მაისს ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან გაიქცა სამი ტუსაღი: შარაბიძე, მოროტკო და სიჭინავა. ტუსაღებს სამზარეულოს კედელი გაურღვევიათ და ისე გაპარულან.

— 24 მაისს პეტერბურგიდან შემდეგი დეპეშები მოვიდა: უმაღლესათ ნაბრძანებია; 1, ღმთავრესი განმგებლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა საქმეების შესახებ, დანაშაულობათა აღმოჩენისა და მოსპობისა, საზოგადო წესისა და მყუდროების დაცვისა და საპოლიციო დეპარტამენტის საქმეების გამგებლობა დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს, პოლიციის გამგეს, რომელიც ჟანდარმთა განსაკუთრებული კორპუსის კომანდერიც იქნება. 2, მინისტრის ამხანაგს შეუძლია თავისით განსაჯოს ყველა საქმეები, რაც მინისტრს ექვემდებარება. და იმ შემთხვევაში, როცა რამე საქმის გადაწყვეტა მინისტრის უფლებას აღემატება, მოხსენება წარუდგინოს პირდაპირ ხელმწიფეს. 3, მინისტრის ამხანაგს მიენდოს საპოლიციო დეპარტამენტის თავმჯდომარეობით არსებულ საბჭოს დადგენილებათა დამტკიცება და იმანვე განუმარტოს და უხელმძღვანელოს გუბერნატორებსა, გრადონაჩალნიკებსა და ობერ-პოლიცმეისტრებს, როცა საჭიროება მოითხოვს; მის გამგებლობაში იყოს მთლათ ის თანხა, რომელიც შინაგან სამინისტროს ეძლევა საპოლიციო ნაწილისათვის; მასვე ეძლევა უფლება კრებისა, თუ საჭიროთ დაინახა. 4, მინისტრის ამხანაგს მიენდოს მთავარ-მეთვალყურობა დაბატიმრებულ პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ. 5, ყველა საქმეთა გამო, რომლებიც ექვემდებარება მინისტრის ამხანაგს, მან პირდაპირ მიწერ-მოწერა იქონიოს ყველა დაწესებულებასთან და მოხელეებთან.

შანაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ და საპოლიციო ნაწილის გამგეთ პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი ტრეპოვი დაინიშნა.

დღეს რჩევა ჰქონდა კომისიას უცხო ენებზე, საზღვარ-გარეთ გამოცემულ ნაწარმოებების ცენზურის შესახებ და უმეტესობა შეუერთდა თ. შახოვსკის წინადადებას საზღვარ-გარეთ უცხო ენებზე დაბეჭდილ და გამოცემულ სამეცნიერო წიგნების ცენზურის გაუქმების შესახებ; მხოლოთ ცენზურის ხელში რჩება ისევ ბელეტრისტიკული, პოპულიარულ-სამეცნიერო, ისტორიული, რუსეთის უკანასკნელ ასი წლის ცხოვრების შესახები ნაწარმოებები, კარიკატურული სურათები, ღია ბარათები და სხვა ნახატები, ყველა იმ ენებზე დაბეჭდილ-დახატულნი, რა ენაზედაც რუსეთში მცხოვრები ტომები ლაპარაკობენ. ფოსტის ცენზურის ქვეშ დარჩა საზღვარ-გარეთელი პერიოდული გამოცემანი.

— კავკაზში დაბეჭდილია შემდეგი: „თფილისში ხმა გავრცელდა, ვითომც პეტერბურგში რაღაც არეულობები მომხდარიყოს. ჩვენმა რედაქციამ დეპეშა გაგზავნა და პასუხათ მიიღო, რომ პეტერბურგში სრული სიწყნარე და მშვიდობიანობაა.

— ბაქოში სახლის პატრონებმა გადაჭრილი უარი განაცხადეს ქალაქის გადასახადების გაღებაზე. სახლის პატრონებს უთქვამთ: რადგან ბაქოდან ხალხი ათასობით გარბის, მდგმურები აღარა გვყავს და ფულსაც ველარ გადავიხდითო.

— ქუთაისიდან გვწერენ: აქ ორი რუსული გაზეთის ნებართვა მიიღეს: ერთის ბეითალმა ლანგმა ,,რიონი''-ს სახელით და მეორე ალ. ნიკიტინმა ,,ქუთაისის ფურცელი''. აპირობენ აგრეთვე ქართული ორგანოს დაარსებას.

— ჩვენ გვწერენ სოფ. გომიდან (ოზურგ. მაზრა): 22 მაისს, დილის რვა საათზე, სასიკვდილოთ დასჭრეს ამავე სოფლის მცხოვრები ოქრომპირ ბურჭულაძე. ბოროტ-გამზრახველნი მიიმალენ, მაგრამ ხალხმა ჩქარა იპოვა ისინი. როცა ბოროტ-გამზრახველნი გამოტყდენ თავის დანაშაულობაში, ხალხმა ისინი გადასცა პოლიციას თავის განაჩენით.

— 25 მაისს მოსკოვის მოსწავლე ახალგაზდობის ერთი ჯგუფი, რიცხვით არა ნაკლებ 500 კაცისა, ტვერის ხასტავიდან გრადონაჩალნიკის სახლისაკენ გაემართა. გზაზე დემონსტრანტებს პოლიციელნი და ჟანდარმები გადაეღობენ, რის გამო ჯგუფი დაიშალა.

— ტოკიოდან იუწყებიან, რომ იაპონელებმა განდევნეს რუსები შახტაზიდან და რკინის გზის სადგური დაიჭირეს. განდევნეს აგრეთვე ცხენოსანთა რაზმები სანცხიაციდან და მადიონიდან. ორივე ეს ადგილები იაპონელებმა დაიჭირეს და გაამაგრეს.

— უკანასკნელი ცნობებით იაპონელებს ცუსიმასთან ბრძოლის დროს ექვსი ათას ას ორმოცდა ორი კაცი დაუტყვევებიათ. ტყვეთ წაყვანილ რუსის გემებისათვის იაპონელებს სახელები გამოუცვლიათ: ჯავშნიან გემ „ორიოლ“-ისათვის დაურქმევიათ „ივამი“, „იმპერატორ ნიკოლოზ I“-სათვის „იკი“; „ადმირალ აპრაქსინისათვის“—„ოკინოშიმა“; ხოლო „ადმირალ სენიავინისათვის» „მიშიმა“.

— ზავის ჩამოგდების შესახებ ხმები უფრო გახშირდა, თუმცა იმედი ჯერ ძლიერ ცოტაა, რადგან იაპონია თავის მხრივ არავითარ პირობას არ ამხელს, თუმცა მშვიდობის მომხრე კია.

— მოსკოვის ქალაქის საბჭოში 90 ხმოსანმა წინადადება შეიტანა განსახილველათ, რომელშიაც გამოთქმული იყო აუცილებელი საჭიროება დამფუძნებელი კრების მოწვევისა. მაგრამ გენერალ-გუბერნატორმა აკრძალა ამ საგანზე მსჯელობა. ქალაქის საბჭომ, გენერალ-გუბერნატორის ბრძანების მიუხედავათ, 18 თებერვლის მანიფესტის ძალით საჭიროთ და შესაძლებლათ დაინახა ხსენებულ კითხვაზე მსჯელობის მოხდენა. 80 კაცმა 20 წინააღმდეგ დაადგინა, რომ სახალხო წარმომადგენლების ამორჩევა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და ამ სახალხო წარმომადგენლებმა ყოვლის უწინარეს ომის მოსპობა უნდა დაისახონ თავის მოქმედების მიზნათო. ასეთი დადგენილება საბჭომ თანახმათ 13 თებერვალს ბრძანებისა მინისტრთა. კომიტეტს წარუდგინა.

— ქ. სამარის საბჭომ ერთხმათ დაადგინა: უკანასკნელი სამხედრო მოქმედების შემდეგ აუცილებლათ საჭიროა სახალხო წარმომადგენლების მოწვევა.

— ქ. ყაზანის საბჭომ ერთხმათ სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს იშვამდგომლოს ხელმწიფის წინაშე სახალხო წარმომადგენელთა მოწვევის დაჩქარება.

— სარატოვის ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა წერილობით აცნობა ქალაქის თავს, რომ მოახდინოს საგანგებო კრება, რომელზედაც უნდა გამოირკვეს სახალხო წარმომადგენლების მოწვევის აუცილებელი საჭიროება.

— ოცდა ექვს მაისს ქ. ბერდიჩევში ჟანდარმის უნტერ-ოფიცერს ლელევს რევოლვერით მოუკლავს თავისი უფროსი ჟანდარმთა როტმისტრი მარკოვსკი და ჟანდარმი ცუკანოვი, ხოლო სასიკვდილოთ დასჭრა ვახმისტრი პალი. თითონაც თავის მოკვლა განიზრახა, მაგრამ გადარჩა.

— ქალაქ ბრაცლავის მიდამოებში სოფლელებს მებატონეებთან უკმაყოფილება მოსვლიათ. მოძრაობა თან და თან ვრცელდება სხვა სოფლებშიაც. მემამულეებს მსახურები ჩამოსთხოვეს და სამუშაო ხელფასსაც მეტს თხოვენ, მოძრაობის ჩასაქრობათ ჯარები გამოიწვიეს.

— სოხუმში სამი დღე საერთო გაფიცვაა. ვინც დუქნის გაღებას გაბედავს შუშებს ულეწენ. პური და ხორცი გასაყიდათ არ იშოვება

დაბა—სოფლის ამბები.

გორი. „ახალი ცხოვრების გარკვევისა“—სწორედ აქაურ „გაზეთზე“ ითქმის. სანამ გორის მოურავთა დასმტკიცებდენ და დამტკიცების შემდეგაც ბევრჯელ სხვებში, ისეთ შეშფოთებულ ფორმებს ამბობდა ბ-ნი გრიგორაშვილი, იმასთანა დიდებულ ბროშურებს აწყობდა და იმასთანა რამეებს ბირდებოდა გორელებს, რომ — ვაითუ დაბერდათ, დემოკრატთაც-კი გვეჭვენა! მართლაც და! ჩვენ კარა თავის თანამდებობის ასრულებას, უგელას სხვა მისცა „უბრალოში“ ზრახვა გამოსათქმელათ, (რაზედაც „რეჩიც“ კი უთხრეს) მეეშხრო გორის ახალგაზდობის საუკეთესო ჯგუფს; მის განკარგულებით ქუჩებიც უფრო დასუფთავდა და მალე მათ მორწყვასაც გვბირდებოდა. «უბრალოში» კი სულ სხვასათ დაგვაყარა სხვა და სხვა ბროშტები: ეს სამარხი კასისაო, ეს «წვრილი კრედიტიო», ეს ბანკი და სამკითხველოო (უკანასკნელისათვის ჩემი ტოდის ძმა ხუთას თუმანს იძლევაო), ეს სახალხო სახლიო, სადაც იეფ-ფასიანი წარმოდგენები და კითხვები გაიმართებაო, ეს ქალების საქველ-მოქმედო საზოგადებაო და ბევრი კიდევ სხვა... ასე გასინჯეთ გახეთის დარსებასაც-კი გვბირდებოდა! არ ვიცი, ამ უკანასკნელის დარსებით თავის ბროშტების გამოსაქვეყნებლათ უფრო ზრუნავდა თუ გორელების გასართობლათ? მაგრამ გორელები-კი სიხარულით ფეხზე ადარ ვიდექით და ჩვენს თავს ჩვენვე დავუტრიალდით: ძღვენს არ გვგლიდნენ ვეებერთელა კაცები! ის კი გვყოფნიდა, რომ ამ სასარგებლო ბროშტების შესაფერი სახსარი უნდოდა, ქალაქის კასისა-გან თავგება ვამაშობენ! მაგრამ რაც-კი მოიპოვება ქალაქის კასისაში, ამის გათხოვებაც არ გიცით. მაგალითად: ბ-ნი გრიგორაშვილის წინადადებით, ძველ «ბაზარნიკს», რომელიც მოქრთამეობისთვის დაითხოვეს, ჭერის დაშენას უბრძანეს! ამაზე გორის ახალგაზდობის შეგნებულმა ნაწილმა დიდი ბროტესტი გამოაცხადა, მაგრამ ბ-მა გრიგორაშვილმა, იმის მაუხედავათ, რომ წინათ შინაურულათ თითონაც ჩამოსთვლიდა ხოლმე ძველი «ბაზარნიკის» მოქრთამეობას, ასე უპასუხა: რადგან მოქრთამეობას ვერ დაუმტკიცებთ და დათხოვნის მიზეზიც სიბერე ჩავწეროთ, ამიტომ ჭერია უთუოთ უნდა დაეუნაშრომოო, და ასე დასრულდა თავისი უტნაური სიტყვა: „ან რა გასამტყუნარია სიტყვაა—ორი თუმნით რაგორ ეცხოვრათ! ეგ ერთი მაგალითია ბ-ნ გრიგორაშვილის ცდილობისა. მეორე ეს გახლავს, რა მანვე სრულებით ტყუილათ ორი თვის ჯამაგირი მისცა ქალაქის კასისიდან გორის არქიტექტორს თუ ინჟინერს, რომელიც თურმე არაფერს აკეთებდა ამ ორი თვის განმავლობაში და, როგორც ბევრნი ამბობენ, სრულებით არ დაუმსახურნია ეგ ჯამაგირი. მაგრამ როცა ერთმა სტუდენტმა ამაზე ბ-ნ გრიგორაშვილს უსაყვედურა, მან ასე იმართლა თავი: არა დირს რაღაც თორმეტ თუ თხუთმეტ თუმანზე კაცის წყენა! ეოველთვის უნდა ჯენტელმენურათ მოვიქცეთ“!

მესამე მაგალითია: ბ-ნმა გრიგორაშვილმა, „ხსნებანების“ თხოვნით, ნოქრების მამართა ეხლახან: თუ შეიძლება რვის მაგიერათ შვიდ საათზე დაიწყეთ მუშაობა დუქნებში, თქვენთვისაც კარგი იქნება გრილზე მუშაობა, უფრო ეოჩადათ იქნებით, მაინც რვა საათამდინ რა უნდა გაკეთოთო“ კარდა მაგისა ბ-ნი გრიგორაშვილი ეხლა როგორღაც ძალიერ დაუმეგობრდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს რასაც იმითი სხნის, რომ თუ რასმე გააკეთებ ისევ მეგობრობით ბოდიალებთანაო. გაკეთებით-კი ჯერ არაფერს ვხედავთ.

გორელი.

—

ქიზიყი. სიდნადის მაზრის უფროსმა და მომრიგებელ შუამავალმა ჯორჯაძემ, ბირეულ ხბრიდს აქეთ მრავალჯერ შემოარეს ქიზიყის სოფლები მამასახლისების ასარჩევათ, მაგრამ ხალხი მიხვდა, რომ დღევანდელი ბოდიალის ქვემდებარე მამასახლისები, როგორც ექამდის, ისე ეხლაც, გარეგნობისა და მტარებლობის მეტს ვერაფერს საკეთებს მოიტანენ. ამიტომ, კარდა ორიოდ სოფლის, ვერც ერთი სოფელი ვერ დაიყოლიეს მამასახლისების არჩევაზე. აქამდის გულუბრყვილო ნდობით ეკიდებოდნენ ბოდიალის,

მეთვალყურე მეპატრონეთ სახვედენ, მარა, დღეს ამათ თვრდა ეახლათ, გაიცნეს მათი ეოველიეე... და არსებულ წეს წეობილებას ზიზღით უტქერიან, ამით გულ გახეოქილნი ხალხის მატყუებელნი ათას გვარს გაიძვერობას ხმარობენ დაკარგულის ასადგენათ, და ხალხის მოძრობის ჩასაქრობათ მარა ვერაფერი გაუწყვიათ.

მომავალ შემოდგომაზე ჯარში გაწვეულნი, 15 აპრილში უნდა გამოცხადებულიეენ სიდნადში, მაგრამ, მესამე მოწოდებითაც დიდს ვერაფერს შიახწიეს. ეხლა მიხედნენ ჯარში გაწვევის მნიშვნელობას, რა სიკეთის მომტანიცაა, ამიტომ სხვა თვალით დაუწყეს ყურება.

დროებით ქიზიყელი.

—

ქვემო-იმერეთი. სოფლის გაღატაკებულ-დაბეჩავებული კლეხკაცობა მარად სიღატაკეში ცხოვრობდა და ბედისგან ტანჯული დღესაც უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. ვინ გინდა რომ კლეხკაცთა ზურგზედ უსინდისოდ ბუნჯს არ შეებედეს: ქრისტეს მცნების მაქადაგებელ მღვდლიდან დაწყებული, სოფლის კანცელარიაში მოსამსახურე აისაულამდე, ყველა მას ყვლეფდა, ყველა უსინდისოდ, გაუწიოლებლად მას ატეხილებდა, ყველა შეუბრალებლათ ფეხქვნიდა. მღვდელი, საიქიო ცხონების დაპირებით, ამ წუთი სოფელში ტანჯული სულის მეტს არაფერს უტოვებდა. სოფლის მსუნაგი მწერლები (მსგავსი მოსე მწერლისა) უწერდენ იმისთანა თხოვნებს, რომელიც კლდეს გაკლეკდა, ქვიდან რძეს გამოადენდა, და ამ ხუთი წუთის შრომისათვის ხშირად **10—50** მანეთამდე ასთქვნიდა. ხალხის-მიერ ამორჩეული სოფლის მამასახლისები, რაც უნდა წლე ეოფილიეენ ბირველ ხანებში, სამსახურის მეექვსე, მეშვიდე თვეზედ სოფლის ქედა-კაცების მონაზიდავ დედლებით, კლესკაცის ნაშრომ-ნაღვაწ ბურ-ღვინით, მათი სიმწარით მონაგარი ეროშებით სუქდებოდენ, და თან, და თან ამბარტავნობასა და დიდ-კაცობას იწეებდენ!—ვინ არ წამდა სოფლის კლეხკაცობას, ვინ არ ატეხდებდა მას! რამოდენიმე სოფლის კანცელარიის სიწარმოვე დავორებია კაცვიოვალიერე შემოხვეთ, და ადმოჩნდა, რომ სოფლის ფული თითქმის ეველგან შეუწამიათ ტოტ-ტოტა, ზოგი იასაულს, ზოგი ბომოშნიკს, ზოგი მამასახლისს, და ამ ფულების კაკახდა ხელ-მეორედ დაიხრებია სოფლის კლეხკაცობის!—ხონში მოითხოვა კლეხკაცობამ არგარიში სოფლის სასმართლოდან წასული წლების, და ანგარიშებიდან ადმოჩნინა: ერთ მოსამსახურე ბირს შეუწამია სოფლის ფული **300** მანეთი, მეორეს **200**-მანეთამდე, მესამეს **3** მანეთი, მეოთხეს **10** მანეთი, მეხუთეს **60** კაბიკი. ერთი სიტეეით ეველას შეძლების და გვარად უტეკვებია, უფექვნია კლეხკაცობა! ხონის კლეხკაცობამ მოიმინებიდან გამოსულმა მოსთხოვა მათ ამორჩეულ ბირებს შეწმული ფულის კაკახდა. ისინი ვალდებულნი არიან კაკახდან და თუმც არ კაკახდიან სოფელი ზე-ხენიშნულ ბოროტების ჩამდენი „ბოიკოტს“ გამოუცხადებს. დიახ, კლეხს დღემდე ეველა ატეკვებდა, დღეს-კი ნიეთიერად დასუსტებული კლეხი სულიერად გამაგრდა, სიღატაკემ გონება ათუშაგა კლეხკაცობას, ჩააკვირა თავის მდგომარეობას, და ის დღეს გონებით ფხიზელი სრულიად არ გავს გუშინდელ კლეხს, რომელსაც როგორც ბატონებს სურდათ ისე მოიხმარდენ, როგორც უნდოდათ ისე მოატეკვიებდენ. დღეს კლეხკაცობა გამოფხიზლებულია, კლეხთა-შორის დღეს ნათლად ჩანს სოლიდარული მოქმედება, ძმური და შეკრული კავშირი. სოფლის კანცელარიებს **გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში** სალხი სრულიათ ჩამოშორდა, და თავიანთ საქმეს ძმურათ, შეკრულათ განაგებენ ხალხის-მიერ არჩეული ასის და ათის თავები! ერთი სიტეეით კლეხკაცი გამოფხიზლდა, გაარჩია ვინ კარგისაგან, სიკეთე-ბოროტისაგან!

ილია ბახტაძე.

—

ზემო-რაჭიდგან. კაი ხანია გაისმა კავკასიაში «ეროობის» ძახილი. კაი ხანია ჩვენმა სალხმაც შეუერთა მთელი რუსეთის სერთო ქვეთინს თავისი დიდი ხნის მიჩუმებული სმა, რომელიც მით უფრო ძლიერდება, მით უფრო მეკვირე და—სასიხარულო ბნელეთის მოეკვრეთათვის, რაც უფრო უმეტესი ნაწილი მშრომელი ხალხისა იგნებს საერთო მოქმედების ძალას. დღეს-კი, როგორც ეოველივე გვამცნობს, საერთო გამოღვიძების დრო დადგა და რაჭველმაც ძველი ცხოვრებიდან ამოეო თავი მის გარემო არსებულ ცხოვრების გამოსარკვევათ; მამოიხედა არგანივ, ეური მიუგდო საერთო ეიეინს და დიდის მოთიქრების შემდეგ რაჭველურათ შესძახა: «განა ჩემზე გაჭირვებული იქნება-და სადმე»? დაიწეო მსჯელობა რაჭველმა გლეხმაც. ჯერ ადრევე ქვემო-რაჭას დაეტეო გამოურკვეველი მღელვარება, შემდეგ-კი ნათელი ხასიათი მიიღო. როგორც ეველგან, ისე აქაც, უბირველესათ გლეხების ბროტესტი თავად-აზნურობამ გამოიწვია, ხოლო შემდეგ ხალხის ზიზღი მთავრობის წარმომადგენლებზე გადავიდა. ქვემო-რაჭის შემდეგ ზემო რაჭა ამოძრავდა. შეიკრიბა ბარის სახოგადოება, სოფლები: ბარი (ქვემო ბარი, ზემო ბარი და შუა ბარი), სამთო, სრავა, მუხლი, ჩიხიში, მოიფიქრეს თავის უბედურ მდგომარეობის შესახებ და გადასწეეტეს ცხოვრების გასუმჯობესებათ შესწეეტონ მთავრობის ეოველ გვარ სასმართლოებთან დამოკიდებულება. ამის გამო მათ ბარის კანცელარიაში ეწვიათ ოხის ბოქაულიო „ჭკეის დასარიგებლათ“. მარა ხალხმა როგორც სიჩუმითაც მიიღო ბატონი ბოქაული, იმ გვარივე სიჩუმით გამოისტუმრა. მართალი უნდა ვსთქვა ეს სიჩუმე იეო ხალხის ეოველივე კრძნობის და სულიერი განწყობილების გამომხატველი, რომ ბოქაულის დარიგებას მაგრე რიგათ ეურს არავინ უგდებდა.

სახოგადოთ ზემო-რაჭის ახლო-მახლო სოფლები აზნურებთან თითქმის ერთათ მოქმედებენ, ვინაიდან რაჭველი თავად-აზნურობა დიდი ხანია გადატაკების გზას დაადგა.

ამ წიანზე სოფელ ქორთაში ორი გლეხი დაეპატიმრეს მიზეზი ისა ეოფილა, რომ „არა სიამელთი“ ადმოჩენილან. ეს სქმე ასე მომხდარა (აპრილის მიწურულში): მღვდელი ბ. მეტრეველი მიბძანებულა გლეხ ოქრეა რთველაძესთან; ამ გლეხს როგორც დაუნახავს მღვდელი, წამოწეეია და უთქვამს: ია ჩვენი ძმაც მობძანდებაო, ეს შეურაცხეებათ მიუღია სუდიერ მამას და ტოტა ხნის უკან წეენიათ .გამობრუნებულა. არ გასულა ნახევარი საათი, გამონთებიან სხენებულ მღვდელის შვილები მიმავალ გლეხ ოქრეა რთველაძეს და ცემა დაუპირებიათ მარა გლეხს უწინდებურათ გაბერი არ მიუშვერია და ქე გაბრუნებულან თავისთვის. მესამე დღეს ეს გლეხი თავის სიძეთურთ დაეპატიმრეს ორის «ნაობასტიე». ისიც ამის გულისთვის, რომ იესოს სახელის მატარებელს «ძმაო» უთხრა... მთელი სოფლის გლეხობა საერთო ძახილით ჩავიდა დაბაში და ითხოვდა მეზობლის განთავისუფლებას; ვიღაცამ დაუმეთეთა ისინი. მოძღვარზე დაბარაკი ვიკმარო. ახლა ეოტა რამ მასწავლებლების შესახებ უნდა მოგახსენო. რაჭის მასწავლებლებმა, როგორც სახოგადოთ მთელი დირექციის მასწავლებლებმა, გადასწეეტეს ნაიდგომევს სწავლის შეწყვეტა, რადგანაც თანამედროვე ცხოვრება ხელს უშლის შეცდენობის ნორმალურ მიმდინარეობას და თვით სკოლაც არა ნორმალურ ნაიგაზეა აგებულიო. მაგრამ ანდასხის არ იყოს სადა ისეთი ოჯახი, რომ მახინჯი წეერი არა ჰეავდეს. ისე აქაც რაჭაშიც გამოჩნდენ ისეთი გონება დახშული მასწავლებლები, რომელნიც თავის კერძო ინტერესებს მოსაზრად თაობისა და სახოგადო ინტერესზე მაღლა აყენებენ.

ტ. გ—ძე.

რუსეთის ქრონიკა

როგორც მოგეხსენებათ, ზოგიერთ ფაბრიკა ქარხნებში შემოღებულია მუშების გაჩხრეკა. გაზეთი „ვეჩერ. პოჩტა“ ეხება ამ საგანს და აღიარებს მის უკანონობას. როგორც წმინდა იურიდიული მხრით, ისე ზნეობრივათაც.

„ყოველის უწინარეს, შენიშნავს გაზეთი, გაჩხრეკა კანონისაგან ნება დართულია და როგორც უკიდურესი საშვალება, მხოლოთ საფუძვლიანი ეჭვის შემდეგ“. ამასთანავე სავალდებულოა გაჩხრეკა ხდებოდეს უეჭველათ მთავრობის მოწერილობის თანახმათ, ამისათვის დადგენილ ფორმალურ წესების დაურღვეველათ ან აუცილებლათ მთავრობის მოხელეთაგან, რომელთაც მინიჭებული აქვთ ეს უფლება.

ახლა ვიკითხოთ: სად არიან ეს უფლებით აღჭურვილნი პირნი ყოველ დღიურ გაჩხრეკის დროს, რომლებსაც ქარხნის პატრონები ახდენენ? არ შეიძლება მართლა ასეთ პირებათ ვიცნოთ ის მოსამსახურენი, რომლის ქუდზედაც მიკრულია რაღაც ჟესტის ნაჭერი და გულზედ ბუყვრიალა სპილენძის ფირფიტა, ზედ წარწერით „სტოროჟი“. ყოველდღიური ჩხრეკა მუშებისა არა შემთხვევაში არ შეიძლება კანონში დასახლებულ „საფუძვლიან ეჭვს„ შევადაროთ.

თვით უმართებულესი სენატი ცხადათ და გარკვეულათ ამბობს: „ბოროტ მოქმედებისაგან დაზარალებულ პირს უფლება აქვს დააკაოს ბოროტ მოქმედი საეჭვო პირი და გადასცეს ან პოლიციას ან მომრიგებელ მოსამართლეს.“ მაგრამ ბოროტ-მოქმედებით დაზარალებული მხოლოთ მაშინ არის რომელიმე პირი, როდესაც თვით მოქმედება შესრულებულია, მაგრამ კანონი ამ შემთხვევაშიაც მხოლოთ იმის ნებას აძლევს დაზარალებულ პირს, რომ საეჭვო პირი დააკაოს და სამართალს გადასცეს, რაც თვალსაჩინოთ განსხვავდება გაჩხრეკისაგან.

დასასრულ „საფუძვლიანათ საეჭვო“ პირები არ შეიძლება ეწოდოს რამოდენიმე ასსა თუ ათას მუშას, რომელთაც მუდამ დღე ჩხრეკენ ამა თუ იმ ფაბრიკის კარებში. რაც შეეხება მუშა ქალების სტოროჟებისაგან გაჩხრეკას, ეს ხომ პირდაპირი ზნეობრივი გათახსირებაა ადამიანის პიროვნებისა, და თვით კანონის ურცხვათ დარღვევა, ვინაიდან ნათქვამია რომ„ თვით უმნიშვნელო გაჩხრეკის დროს, ქალების გაჩხრეკა უნდა ხდებოდეს ქმრიანი ქალების საშვალებით“

გაუმაძღარ კაპიტალისტებისაგან გასაკვირი არაა თუნდაც ამაზე უსაზიზღრესი მოქმედება, მაგრამ წარმოიდგინეთ თქვენ პატიოსანი ადამიანი, (ქალი იქნება ისა თუ კაცი) რომელიც დღიური ლუკმის გულისთვის ასეთ დამცირებას ითმენს იმათაგან, ვინც იმის ოფლით მდიდრება, ვისი კეთილდღეობაც მისს გაჭირვებაზეა აშენებული.

—

როგორც მოგეხსენებათ, მიწათ—მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო აღარ არსებობს. დღევანდელ გლეხთა მოძრაობას უმთავრესათ მიწის მოუწესრიგებლობა აქვს სახეში და კერძოთ ამ საქმისათვის დაწესებულ სამინისტროს პოსპობა მართლაც მოულოდნელ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, თუმცა დღევანდელ ცხოვრებაში სხვა ბევრ ცვლილებასაც მოველოდებით.

ამ ჟამათ უწინდელი ერთი სამინისტრო სამს უმაღლეს დაწესებულებას გაუნაწილეს. ერთი იმათგანი არის „განსაკუთრებული საბჭო გლეხების მიწათ მფლობელობის განმტკიცებისა“. მეორე „კომიტეტი მიწათა მოქმედებისა“; მესამე «მთავარი სამმართველო მიწათა მოწესრიგებისა და მეურნეობისა“.

პირველ დაწესებულებას აქვს კანონმდებლობითი უფლება; მეორე განკარგულებას ახდენს, ხოლო მესამე დაწესებულებას სისრულეში მოჰყავს პირველი ორის გადაწყვეტილება.

ეი ასეთია სამს უმაღლეს დაწესებულებათა შორის დამოკიდებულება და ამ დაწესებულებათ აქვს მინდობილი მიწის მოწესრიგების საქმე. აქედან ცხადზე უცხადესია, რომ უმთავრესი როლი ამ სამ დაწესებულებათა შორის „განსაკუთრებულ საბჭოს“ ეკუთვნის, როგორც საკანონ-მდებლო დაწესებულებას. 6 მაისს გამოიცა ბრძანება, რომლითაც „განსაკუთრებულ საბჭოს“ წინადადება მიეცა შეადგინოს„ კანონთა კრებული დანარჩენ ორ განყოფილებათა სახელმძღვანელოთ გლეხთა მიწათ მფლობელობის კითხვებში„.

ახლა უნდა იცოდეთ, რომ «საბჭოს» წევრებათ ინიშნებიან პირნი, რომელნიც „კომიტეტის“ წევრებს ემორჩილებიან. „კომიტეტის“ წევრებათ ინიშნებიან მინისტრები, ხოლო „საბჭოში“ მათი თანაშემწეები და დეპარტამენტის დირექტორები ასე რომ, მინისტრები ბრძანებას თავიანთ ხელქვეითებისაგან იღებენ. გარდა ამისა თავისი აზრი გლეხთა მიწათმფლობელობის შესახებ მინისტრებმა თავიანთ თანაშემწეებს უნდა გადასცენ დასამტკიცებლათ.

ერთი სიტყვით უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლათ დაარსებული კომიტეტების საშვალებით სამინისტროს საქმეების წარმოება კიდევ უფრო იხლართება და ძნელდება. ერთი ბიუროკრატიული დაწესებულების მაგივრათ სამი დააწესეს და ვნახოთ რა გამოვა.

—

კიევის გუბერნიის ზოგიერთ მაზრებში გლეხთა შფოთას დაიწყო ეკონომიური მოძრაობა.

—

13 მაისიდან უფის გუბერნიაში გაძლიერებულ დაცვის წესები შემოიღეს (ს. ო.).

—

პუტილოვის ქარხნის მუშებმა არა ერთხელ მოითხოვეს 9 საათის სამუშაო დღე, მაგრამ ქარხნის პატრონებმა არ დაუთმეს. ბოლოს მუშებმა გადასწყვიტეს, ჩვენვე შემოვიღოთო 9 საათი და ეს განძრახვა სისრულეში მოიყვანეს. 10 მაისიდან საღამოს 5 საათზე მუშები სამუშაოს თავს ანებებენ, ნებართვას აღარ უცდიან და შინ მიდიან. ქარხნის ადმინისტრაცია ძალიან გაბრაზებულია, მაგრამ ვერაფერი გაუბედავს. მოთავეების დათხოვნა უნდოდათ, მაგრამ ამოჰხდა, რომ 7000 მუშა ისე მაგრა ყოფილიყო შეკრული, რომ ადმინისტრაციამ თავის განზრახვაზე მაშინვე აიღო ხელი.

—

შინაგან საქმეთა მინისტრი პეტერბურგში ახალ საპყრობილეების ასაშენებლად კარგა ბლომად ფულს თხოულობს, ამ ჟამად პეტერბურგის საპყრობილეები სულ სავსეა პატიმრებით. (ნ.).

—

14 მაისს, სედლეცის მახლობლად, აუარებელი ხალხი შეკრებილა. მაღე ჯარი მისულა და ხალხს გარსშემორტყმია. შეტაკების დროს დაჭრა 50 კაცი და მოკვდა 20 (რ. ვ.).

—

პეტერბურგის ადმინისტრაციის თხოვნით, სამხედრო სამინისტრომ პეტერბურგიდან საალლუმოთ წასული ჯარი პეტერბურგშივე დააბრუნა. გვარდიის პოლკები ცარსკოე სელოში იყვენ საალლუმოთ, მაგრამ მიიღეს თუ არა ბრძანება (18 მაისს), მაშინვე პეტერბურგისკენ გასწიეს. 19 მაისს პეტერბურგში შევიდა არტილერია, კაზაკთა რამდენიმე პოლკი და გვარდიის 5 პოლკი, სულ 15 ათასი კაცი, დანარჩენი ჯარი თანდათან უკანვე ბრუნდება. (რ. ვ.),

—

გაზ. ,,ვეჩ. პოჩტაში'' მოთავსებულია მუშების წერილი: ,,გავიგეთ, რა გაზ. ,,მოსკოვსკია ეედომ.'', ,,მოსკ. ლისტ.'' და ,,რუსსკ. ლისტოკის'' გამომცემელთა განზრახვა, რომელთაც არა სურთ კვირა-უქმე დღეებზე დასვენება მისცენ სტამბებში მომუშავე პირებს, ჩვენ, ბრესტის სახელოსნოებისა და ახლო, მახლო ფაბრიკა-ქარხნების მუშები, შევიკრიბენით რომ შესაძლებელი ღონისძიება ვიხმაროთ ხსენებულ ,,ოპრიჩნიკების'' (ჯალაბების) წინააღმდეგ. ამასთანავე საჭიროთ მიგვაჩნია სახალხოთ გამოვუცხადოთ ის საზიზღარი, ბნელი მიმართულება, რომელსაც გაზეთი ,,მოსკოვსკია ვედომოსტი'' ადგას. ჩვენ ვიცით, რომ ხსენებული გაზეთი ყოველ საშვალებას ხმარობს გონება დახშული შავი რაზმები მიუსიოს საზოგადოების უკეთეს წარმომადგენელთა—ინტელეგენტებს. ,,ოპრიჩნიკების'' ასეთ მოქმედებას საქმე ექნება ჩვენთან, რადგანაც ჩვენ გადავსწყვიტეთ მფარველობა გავუწიოთ ინტელეგენტებს. ახლა-კი ,,ბოიკოტს'' ვუცხადებთ ზემო აღნიშნულ ბნელ მიმართულების გაზეთებს და ვკიცხავთ იმ მუშებს, რომელნიც იმ სამ გაზეთში მუშაობენ, როგორც მხდალსა და სინდის გაყიდულ ადამიანებს.

ამასთანავე ვთხოვთ მოსკოვის სხვა უბნის მუშებს მიბაძონ ჩვენ შაგალითს და ბოიკოტი გამოაცხადონ აღნიშნულ გაზეთებს.

მოსკოვში 13 მაისს უნდა გამოსულიყო პირველი ნომერი ახალი გაზეთის ,,მოსკოვსკაია ნედელია''-სი, მაგრამ როგორც იწერებიან ცენზორს დაუჭერია.

ჯადოქრები და თვალთმაქცები.

დედა მიწის ზურგი შეიეძრა... სადღაც, ქვესკნელში გაისმის ყრუ გრვინვა, გამოურკვეველი გუგუნი, რომელიც შიშის ზარს სცემს მრავალს... იქ, იმ ქვესკნელში გამალებული, მსწრაფლი მუშაობაა, ყოველივე დუღს და ბობოქრობს... ერთი წამი კიდევ და შეშონახული ძალა, რომელიც ჯერჯერობით ოდნავ არყევს დედა მიწის ზურგს, საზარელის სისწრაფით და ძლიერებით ამოხეთქს და ცეცხლათ მოედება ქვეყნიერობას. ვაი მაშინ იმათი ბრალი, ვინც ყურადღებას არ აქცევს, აბუჩათ იღებს და ბიაბრუთ ხდის ქვეყნის დაფარულ ენერგიას... უშიშარი და მძლავრი, დაუნდობელი და სამართლიანი ძალა ქვეყნისა ხორცს შეისხამს და გაალებული ცეცხლის ქანდაკების სახით აღიმართება წინაშე შეძრწუნებული კერპებისა. სასტიკი იქნება მისი მსჯავრი, სასტიკი და მასთან შეურყეველი. მსჯავრის დადება და აღსრულება, სიტყვა და საქმე განუყოფელი იქნება მისთვის.

— სიკვდილი კერპებს!

დაიგრიალებს მრისხანე ხმა და დამსხვრეული კერპები მტვრათ იქცევიან; და ცხოვრება, ეს დუხჭირი, აუტანელი დაჩაგრული ცხოვრება მყის შეიცვლება: სისხლის ნაკადული გაბანს, გაასუფთავებს მას, ათასი მსხვერპლი მომავალის გზას გაუკაფავს და დღევანდელი მძიმე ბრძოლა, ბრძოლა ადამიანისა, რომელსაც პირუტყვათ თვლიან, რომელიც ადამიანობისათვის იბრძვის, უფრო დიად ბრძოლათ იქცევა. ყოველივე ამას გრძნობს დღეს ყველა ის, ვისაც გონების თვალი უჭრის და აწინდელ ცხოვრებას მიუდგომელათ თვალს ადევნებს.

მარა არიან ისეთებიც, რომელნიც განზრახ თუ განუზრახველათ, ნებსითი თუ უნებლიეთ თვალს არიდებენ, გვერდს უხვევენ ყველა იმას, რაც მათ ცხვირ წინ ხდება და, თითქოს სრულიად გულ-დამშვიდებულნი და შეუშფოთებელნი, თავის ფლიდს და გამხრწნელ ,,მუშაობას'' განაგრძობენ მიწყნარებულ კანცელიარიებში. როგორც ჯადოქრები და თვალთმაქცები წამოსკუპებულან ისინი თავიანთ რბილ საათხლებზე, მწვანე მაუდით დაფარულ სტოლს გარშემო და უგულონი, უგრძნობელნი, გაქვაბულნი, გონება დაჩლუნგებულნი, დინჯათ და წყნარათ გასცქერიან ერთმანეთს ოქროს სათვალეებს ქვეშიდან. გარეშემო სრული სიწყნარეა. ბუზი რა არის, ბუზიც რომ გაფრინდეს ორთქმავალის ქშინვასავით გაისმება იმისი ფრთების ბზუილი მიმქვდარებულ კანცელარიის დარბაზში. მშვიდნი და წყნარნი, აუჩქარებელნი და დინჯნი, დაზავებულნი და დაობებულნი ჯადოქრები და თვალთმაქცები სდუმან. მათი აზროვნება მოდუნებულია, მათი ფიქრი გახრწნილი და გარყვნილი ცხოვრების პირუტყვულ ვნებათა აშმაღელვარებელ სურათებს შეუპყრია და იგინი სულით და გულით სწყევლიან იმ მიზეზს, რომელმაც აქ, ამ უფერულ კანცელიარიაში მოუყარა მათ თავი. მაგრამ აი, ერთ მათგანს, რომელიც ყველაზე უფრო საპატიო ადგილას დაბრძანებულა, ნელა გაეპო ჩატეტკილი ბაგეები და სამარასისებურ სიჩუმეში მკვახეთ გაისმა მისი ხრინწიანი ხმა. ჯადოქრები და თვალთმაქცები შეინძრენ თავიანთ სავარძლებზე და უაზრო თვალებით მიაჩერდენ სიჩუმის დამრღვევს. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა ყველამ და დიდის გაჭირვებით მოიშორეს საღერღელის ამშრალი სურათები თავიანთ ფიქრიდან. ახლა მათ სულ სხვა გვარი სურათი ეხატება გონებაში:

ხალხი, დაბალი ხალხი, საზიზღარი, ბინძური, წვირიან და დაფლეთილ ძონძებში გახვეული, უზრდელი, ყოველივე მაღალ გემოვნებას და მოთხოვნილებას მოკლებული... სასაცილოა!—ასეთი ხალხი რაღაცას მოითხოვს, რისთვისღაც იბრძვის, სასაცილოა და მასთან საკვირველიც!. და მათ გაგანაწყანებულ აზროვნებაში ამ ნაირი სახე ეძლევა ,,მოუხეშავს და გაუნათლებელ ხალხს'':

ხალხი წარმოადგენს ეეებერთელა, უფორმო თიხას, რბილ თიხას, ტალახს, რომელიც, როგორც გინდა ისე მოიზილება, რომელსაც რა სახეც გინდა იმ სახეს მისცემ, როგორც გინდა, ისე გამოაქანდაკებ.

და ჯადოქრები და თვალთმაქცები შეუდგებიან ამ „უფორმო მასისს'' ქალაღლებზე ზელას. ვინ იცის, რა ფიგურები არ გამოყავთ მათ ამ მდიდარი მასალიდან.

აი დააგუნდავეს, დაამრგვალეს მთელი გალლერეია სხვა და სხვა ქანდაკებათა და, როგორც ზეგარდმო ნიჭით ცხებული სკულპტორი, როდესაც იგი თავის ნაწარმოებს დააბოლოვებს, ისე შეტრფიან საბრალო ჯადოქრები თავიანთ ნაღვაწსაც.

,,დაინიშნოს კომისია ... და ა ჯადო ქარის თავმჯდომარეობით ამა და ამ საქმის მოსაწესრიგებლათ''...

,,დაინიშნოს მეორე კომისია მეორე თვალთმაქცის თავმჯდომარეობით....

და სხვა და სხვ....

კანცელარიაში კვლავ სიწყნარე სუფევს. ჯადოქრები და თვალთმაქცები ისევ თავიანთ რბილ სავარძლებზე სხედან და მაუდი მწვანე ფერს სდებს მათ უსისხლო სახეებს. სტოლი, რომელსაც გარს შემოსხდომიან იგინი, იზნიქება მშრალი, უშინაარსო ქაღალდების სიმძიმის ქვეშ. დარბაზში მხოლოთ შვენიერ კედლის საათის რაკა-რუკი მოისმის. ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, დაჟინებით გაიძახის საათი, თითქო ეუბნება დამსწრეებს დროთა მსვლელობის შეუჩერებლობას. დარბაზში ერთ ფეროვნებაა, არაფერი არ იცვლება და საათი გესლიანათ განაგრძობს თავის რაკა-რუკს. ის მიუდგომელია, შეუწყნარებელი იყე, როგორც თვით დრო და ჟამი, იგი გასაგებ ენით ჩასძახის დამსწრეებს, რის თქმაც უნდა, მარა უკანას-

კნელნი დუმილს განაგრძობენ, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო. იქ, დარბაზში კვლავ სიწყნარე სუფევს და ბუზი რომ გაფრინდეს, კვლავ ორთქლ მავალის ქშინვასავით გაისმება მისი ბზუილი. გარეთ კი ყველგან, საცა ცოცხალი არსება კი არის, ყოველ წუთს, ყოველ წამს, საათის ყოველივე დაკვრას სულ ახალი და ახალი ამბები მოსდევს. ცხოვრება დუღს გრგვინავს და ხალხის შემოქმედებითი ძალა გამუდმებით მუშაობს; ის, რაც იქ, იმ კანცელარიებში ვერ გადაუწყვეტიათ აქ თავისუფლათ ძალაუნებურათ წყდება. და ის ,,საზიზღარი ხალხი, რომელიც თითის ტალახს წარმოადგენს'' თავის ,,სკულპტორათ'' თვითონვე გამხდარა. ეს დიდებული სკულპტორი მწარე ირონიით გაიცქირება წყნარი კანცელარიის დარბაზისაკენ და მას შემდეგი სურათი ეხატება:

იქ, იმ დარბაზში, დახუთულს და მოწამლულ ჰაერში ულონოთ აგდია სასიკვდილო სარეცელზე ილაჯ-გაწყვეტილი, ჭლექით ჩავარდნილი მომაკვდავი. ძლივს ღა სუნთქავს ავადმყოფი. მას გარს შემოხვევიან უძლური ექიმები და მჟავბადით ღა ასულიერებენ მისს გამომხმარ ფილტვებს. ეს მჟავბადია სხვა და სხვა კომისიები, რომელთაც უნდა მოაწესრიგონ ხალხის მიერ მოსაწესრიგებელი საქმეები....

თაგუნა.

თფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოება და მისი მოსამსახურეები.

როგორც მოგეხსენებათ ამ ერთი თვის წინეთ თფილისის ტრამვაის მოსამსახურეებმა რამდენიმე მოთხოვნები წარუდგინეს უსახელო საზოგადოებას. საზოგადოებამ უარი განუცხადა იმათ დაკმაყოფილებაზე, რასაც მოსამსახურეების გაფიცვა მოყვა. გაფიცვამ თითქმის სამი კვირა გასტანა, და არც ერთი მხარე დათმობას არ ფიქრობდა. ბოლოს უსახელო საზოგადოებამ, თავისი დირექტორის ბ-ნ გრიმანისის ბირით ზოგი მოთხოვნების დაკმაყოფილება შეპირდა, ზოგის დაკმაყოფილება-კი სამედიატორო სასამართლოს მიანდო; მოსამსახურეებმა ამ ბირობებზე თანხმობა განაცხადეს და მუშაობა დაიწყეს. ამავე დროს ორივე მხარემ პირჩიეს მედიატორებიი, ორ-ორი კაცი თითოულმა მხარემ. 23 მაისს უნდა მომხდარიყო ბირველი სხდომა მედიატორებისა ქალაქის სააბჭოს დარბაზში. მედიატორები შეკრიბენ; კრებას სხვათა შორის დაესწრენ: ქალაქის თავი ბ-ნი გერმიშევი, უსახელო საზოგადოების უფროსი წარმომადგენელი ფაინი, უსახელო საზოგადოების ადგილობრივი დირექტორი ფაინი, საზოგადოების რამდენიმე მოსამსახურე და მედიატორები. კრების დაწყებისავე რამდენიმე სიანტერესო გარემოება გამოაშკარავდა. უწინარეს ყოვლისა გამოაშკარავდა ის, რომ უსახელო საზოგადოებას ამ მოკლე ხნის განმავლობაში ბევრი უმუშავია თვით მოსამსახურეების წრეებში, რომ სამედიატორო სამართლის მოხდენა შეუძლებელათ გაუხადა. ამისთვის მას გადაუბირებია რამდენიმე კაცი, რომელთაც განცხადება მიუცია საზოგადოებისათვის, რომ ჩვენ არა გვსურს სამედიატორო სამართალი, ამაზე ჩვენ მხოლოთ ძალათ მოგვაწერინეს ხელიო. ამ საქმეში უსახელო საზოგადოებას დასახმარებლათ ბოლიცია ჩაურევია და ერთი სიტყვით, უმეცადინია, რომ მუშებში განხეთქილება ჩამოეგდო, რათა იმათ ერთი ერთმანეთზე წაკიდებით თითონ ესარგებლებია. მეორე გარემოება, არა ნაკლებ დამახასიათებელი ხსენებული საზოგადოების ზნეობრივი ფიზიონომიისა ის არის, რომ ბ-ნ გრიმანისს, რომელმაც ხელი მოაწერა სამედიატორო სამართლის მოხდენაზე, ბ-ნ ფაინისთვის ოფიციალური ქაღალდი გადაუცია, რომელშიაც იგი ამტკიცებს, რომ, როცა ამაზე იგი ხელს აწერდა, იგი ჭკუაზე შეშლილი იყო, ასე რომ მის ხელის მოწერას არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს. ამასთანავე ბ-ნ გრიმანის მა ფაინის შეკითხვაზე განაცხადა, რომ იგი ახლაც არ არის სრულ ჭკუაზე. მიუხედავათ ასეთი განცხადებისა, ბ-ნ გრიმანისი დღემდის საზოგადოების საქმეების მმართველი და გამგეა. აქედან თქვენ, დარწმუნდებით, თუ რა ფასი უნდა ჰქონდეს მის განცხადებას. გარდა ამისა თვით ბ-მა ფაინმა აი რა განაცხადა: როცა ბრუსელში ამ საქმის შესახებ ტელეგრამა მოვიდა, მე იქ ვიყავი, და ტელეგრამაში სამედიატორო სამართალი სრულებით არ ეთქვათ ნახსენები; ამის მაგიერათ იქ იყო სიტყვა ,,arbritrage'' რომელიც სამედიატორო სამართალს არ ნიშნავსო. ამიტომ ჩვენ არ მიგვიღია სამედიატორო სამართლის ვალდებულებაო. ამასთანავე უსახელო საზოგადოების დანარჩენმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ იურუდიულათ ამ სამედიატორო სამართალს არა აქვს საფუძველი, ის გერ დაუდგენს ისეთ განაჩენს, რაც ორივე მხრისათვის სავალდებულო იყოსო, ამიტომ სამედიატორო სამართმლზე დაპირაკი არ შეიძლებაო. ამნაირათ როგორც მკითხველი დაინახავდა უსახელო საზოგადოება ჯერე დათანხმდა სამედიატორო სამართალზე, შემდეგ კი როცა მუშებში თავის სასარგებლოთ ნიადაგი მოამზადა, ამაზე უარი განაცხადეს სხვა და სხვა გვრაგული და გაძვერული მოსაზრებით. ასეთი გომელია ამ საზოგადოების წარმომადგენლებს არა ერთხელ უთამაშიათ და ალბათ კიდევ არა ერთხელ უნდა მოველოდეთ ამათგან ასეთ გვრაგულ ხრიკებს.

დამსწრე.

თფილისის ქალაქის მოურავის მოხსენება.

თფილისის ქალაქის თავს ბ-ან გერმიშევს შეუდგენია მოხსენება კავკასიის ნამესტნიკთან წარსადგენათ, რომელშიაც ავტორი ეხება როგორც რუსეთის, ისე განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობას. ამ გაჭირვებულ და აუტანელ მდგომარეობას რომ ბოლო მოეღოს და დამყარდეს მშვიდობიანი ცხოვრება, საჭიროა უზრუნველ ეთქვეთ იქნას ბირიონების და ქონების სრული ხელშეუხებლობა, დამყარდეს კრების, სიტყვის და ბეჭდვის სრული თავისუფლება. ამას წინ უნდა მიუძღოდეს გაძლიერებულ დაცვის გაუქმება და პოლიტიკურ დამნაშავეთა სრული ამნისტია. გაუქმება გაძლიერებულ დაცვისა და სრული ამნისტია პოლიტიკურ დამნაშავეთა. თუ ამ მოსამზადებელ მუშაობისთვის მოწვეული იქნებიან ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენელნი, ვიმედოვნებთ, რომ კავკასიის მცხოვრებნი მალე გამოარკვევენ იმ პრაქტიკულ ღონის ძიებათ, რომლებიც წამოაყენა ცხოვრებამ და რომლების სამართლიანი გადაწყვეტა შესაძლებელი გახდის ხალხის კულტურულ განვითარებას. ამისთვის-კი აუცილებელია საჭირო, რომ მთელი სისტემა სახელმწიფო მმართველობისა რიგიანათ შეიცვალოს დამფუძნებელ კრების სახუალებით. ამისთვის საჭიროა:

1) სრულიად-რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევა; წარმომადგენელთა არჩევა ამ კრებისთვის პირდაპირ და სრიდუმლო კენჭის ყრით, წოდებისა, ქონებისა და სქესის განურჩევლათ.

2) გაძლიერებულ დაცვისა და სამხარ წესების მოსპობა და სიტყვის დარჯების (ცენზურის) მოსპობა.

3) ადგილობრივი ყოველ ეროვნების მკვიდრი ხალხი უნდა იღებდეს მონაწილეობას წარმომადგენლობაში თავის რაოდენობის დაგვარათ. ამისთვის ცალკე სარჩევნო ოლქები უნდა იყოს მოწყობილი.

4) საზოგადო უფლებრივ პირობათა შემოღება: პრესისა, სიტყვის, კრებების, ერიდობების, გაფიცვის თავისუფლება, მთავრობის ნებადაურთველათ ყოველგვარ საქველმოქმედო და განმანათლებელ დაწესებულებათა გახსნა, სასწავლებლებში სწავლება დედა-ენაზე, პირონების, სადგომის ხელუხლებლობა, მოხელეთა პასუხისგებლობა სასამართლოს წინაშე, სახალიტიკო დამნაშავეთა სრული ამნისტია.

5) ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანიზაცია ისე, რომ იგი თავისუფალი იყოს ადმინისტრაციის გავლენისაგან, სპეროვინციო და საქალაქო თვითმმართველობა და კავკასიის წარმომადგენლთა ადგილობრივი კრება, პირდაპირ, საყოველთაო, თანასწორ და საიდუმლო კენჭის ყრაზე დამყარებული; ამათ უნდა გადაეცეთ ადგილობრივ სამეურნეო საქმეების მართვა-გამგეობა და სახოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვა.

6) არჩეული მომრიგებელი მსაჯულები და ნათლი მსაჯულები, სასამართლოში ადგილობრივ ენების შემოღება.

7) პირველ-დაწყებითი სწავლის გადაცემა სახოგადო დაწესებულებათა ხელში. სახალხო სასწავლებლებში ადგილობრივ ენებზე სწავლება.

8) სამუდამო სასწავლებლების განთავისუფლება ზედ-მეტ შეკითხვებისაგან და მათ მართვა-წარმოებაში ხალხისაგანაც მონაწილეობის მიღება..

9) გლეხთა სამუდამო-მამულო მდგომარეობის მოწესრიგება ამისათვის: ა) დროებით ვალდებულობის მოსპობა; ბ) თავისუფალ სახსნინო ადგილების მოხმარება ამ საქმისათვის და გ) გერძო მემამულეთა ადგილების შეუდავა ხაზინის დახმარებით და ექსპროპრიაციის წესით.

10) სრული სარწმუნოებრივი თავისუფლების შემოღება.

ტანისამოსის სამკერვალოები თფილისში.

(შენიშვნა).

თფილისის სამკერვალოებში მომუშავეთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ ჩაება დღევანდელ განმათავისუფლებელ ბრძოლის ფერხულში. აქ ისევ ძველი დახვრეტილი მჭრელი წესებია გამეფებული; ეს წესები ჩვენში ჯერ კიდევ ბოლომდის ნიადაგს. აქ ისევ არსებობს შეგირდების ხუთი ექვსი წლის ვადით აყვანა, ხელშეკრულობის ძალით, რის გამოც შეგირდები „ოსტატების“ სრულ მონობაში რჩებიან. ისევ გახშირებულია შეგირდების ცემა-ტეხვა; მათთვის არ არსებობს არც სამუშაო დროს განსაზღვრა, არც დასვენება. ამუშავებენ გამუდმებით როგორც თვითონ ოსტატები მუშაობენ 14—15 საათს დღეში, ხან და ხან მეტსაც. თუ შეგირდობამდის მშობლების სახლში მათ წერა-კითხვა შეუსწავლიათ, შეგირდობის დროს ამისაც ავიწყებინებენ.

ამის წინათ „ასოციერთა სახოგადოების“ სამკერვალოში ერთს შეგირდს გახეთი ეშოვა, მაგრამ წაკითხვა ვერ გაებედნა, რადგანაც ოსტატი გვერდზე უყვდა, ეუთის ქვეშ დაემალა იმ იმედით რომ, როცა ოსტატი წავა, მაშინ წაიკითხავო. მაგრამ ოსტატს ამჩნევია გახეთი და შეგირდისათვის ზედ თავზე გადაეფხრიწა.

სამკერვალო სახელოსნოებში მუშაობა ნაწრობით წარმოებს, რაც მეტათ ხელსაყრელია შეგირდებისათვის, რაც აშკარათ დამტკიცდა სხვათა შორის მკერვალების საერთო გაფიცვის დროს, როცა შეგნებულმა ქარგლებმა თავიანთ მოთხოვნილებაში უპირველესი ადგილი დაუთმეს ნაწრობით მუშაობის მოსპობას და თვიურ ჯამაგირის დაწესებას; მაგრამ ამას წინ ადუდგეს ის ქარგლები, რომლებსაც შეგირდები ყავთ და ერთხმათ უარეყვეს.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ამათ თავისი სახელოსნოები ქონდათ მაგრამ კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ ისინი იძულებული გახადა საკუთარი სახელოსნოები დაეკეტათ. იმის მაგიერათ რომ შეგნებულ მხსნაგებთან ერთათ შეუდგენ თავიანთ პირობების გაუმჯობესობას, ესენი მათ გაურბიან, და ფიქრობენ, რომ გამდიდრდებიან და საკუთარ სახელოსნოს დაიარსებენ, „ხაზეინები“ შეიქნებიან. ამ ნიადაგზე ბევრი არა სასიამოვნო ფაქტები ხდება, როგორც, მაგ., მექრთამეობა, მოეიდვა, ჯაშუშობა და სხვა სამარცხვინო მოქმედება. ასე ჩამორჩენილია დღემდე მკერვალების უმრავლესობა მუშების, პროლეტარიატის, საერთო მოძრაობისაგან. ვნახოთ, შემდეგში რა იქნება.

ჩუმი მეთვალყურე.

საფრანგეთის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში.

(შემდეგი *)

ამნაირათ კლასთა ბრძოლა, საზოგადოებრივი განვითარება უმაღლეს ხარისხამდის მივიდა. რამდენათ უფრო მეტგრათ თხოულობს ოპოზიცია რეფორმას, იმდენათ უფრო მედგრათ უარჰყოფს მას რეაქცია და უკან-უკან მიიწევა. ორივე ძალა სასტიკი შეჯახებით გამოვიდა თავისი ჩვეულებრივი კალაპოტიდან და წინააღმდეგ თავის სურვილისა ძალას ადგება; სახელმწიფოს ბორბალი მოიშალა და ღრიჭინით ტრიალებს. ეკონომიური და პოლიტიკური გაჭირება ერთმანერთს აძლიერებს და ამწვავებს. ერთი სიტყვით აღარაფერი თავის ალაგას არ ჩერდება, ყველაფერი სადღაც მიექანება და თავის მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს. და როცა საზოგადოება ამ გვარ ყოფაში ვარდება—მისი ძირიანათ განახლება მისი ხსნაა. გაბატონებული ბურჟუაზია დაჟინებით უარჰყოფს მშვიდობიან განახლებას და მით ხალხს დევნის რევოლიუციური განახლებისაკენ.

თებერვალში მთავრობა კრძალავს ოპოზიციის ბანკეტს ე. ი. სპობს კრების უფლებასაც, ამან პალატაში და საზოგადოებაში დიდი ქარიშხალი გამოიწვია. „ჩვენ აქ მოვდივართ არა სამინისტროს წინააღმდეგ უმრავლესობის წინაშე საჩივლელათ, არამედ საჩივლელათ სამინისტროს და უმრავლესობის წინაალმდეგ ქვეყნის წინაშე“—განაცხადა ბაჯოს მომხრე დეპუტატმა დოვერნიემ პალატაში. „გარეშე მეფობისა, პერთა და დეპუტატთა პალატისა არსებობს უკიდურეს შემთხვევისათვის ერთი მსაჯული, ერთი უზენაესი მოსამართლე, რომელსაც ეწოდება ქვეყანა, და აი თქვენ გსურთ პოლიციის ხელობით მას პირი შეუკრათ“ შესძახა ლაგარტინმა მთავრობას. ოპოზიციამ გადასწყვიტა ძალას ძალა დაუპირდაპიროს და მიუხედავათ აკრძალვისა ბანკეტი მაინც გამართოს. და რადგანაც მას არ სურდა არეულობის შიშით მუშა ხალხის დასწრება, ბანკეტი დანიშნა საქმის დღეს, სამშაბათს 22 თებერვალს მარსის მოედანზე. პარიჟში დაიწყო ის ნელი ღელვა, რომელიც მომავალი ქარტეხილის წინამორბედია. სავაჭრო საქმეები შეჩერდა, ბირჟაზე ქაღალდების ფასები დაეცა, ყოველგან ისმოდა ბრძოლა იწყებაო, თუმცა მთელი ოპოზიცია „ნასიონალი“ და, „რეფორმი“-თურთ ირწმუნებოდენ უბრალო დემონსტრაციაო მოხდებაო. მართალია არავის ეშინოდა, მარა არავინ იცოდა მუშათა უბნების მდგომარეობა. იქიდან არც რაიმე პროკლამაცია გამოდიოდა და არც ბანკეტები იმართებოდა, ხოლო უკანასკნელ დღეებში ხმა გავარდა პროლეტარიატი ბობოქრობს, იარაღს ისხამს და ბანკეტზე მოდისო. ამან ჩააფიქრა ორივე მოდავე—მთავრობა და ოპოზიცია და, რომ ორივე შეურცხვენელათ გამოსულიყვენ ამ დავისაგან და განსაცდელი თავიდან აეშორებიათ, შემდეგ ნაირათ მოთანხმდენ: ბანკეტის დაწყების თავშივე მოვა პოლიციის კომისარი, ბანკეტს აკრძალავს, ოქმს შეადგენს და საქმეს სასამართლოს გადასცემს, რომლის განჩინებას ორივე მხარე დაემორჩილება. ამ კომპრომისს დათანხმდა ოპოზიციის ყველა ფრაქცია რადიკალებისა, თანახმა არ იყო მხოლოთ ორი პარტია: სასახლე, რომელიც წინდაწინვე აკრძალვას თხოულობდა და პროლეტარიატი, რომელმაც შვა გზაზე გაჩერება არ იცის. „ყველა რეფორმას თხოულობს, მე არასდეს ასეთ სისუსტეს არ გამოვიჩენ“—ამბობდა დაბრმავებული მეფე. 21 ს დილით სასახლე ტყობილობს, რომ საერო მილიცია, მუშათა უბნების ყველა მცხოვრებნი ბანკეტზე მოდიან, ხვალ სამუშაოზე აღარავინ მიდისო, გაისმა პარიჟში, ახლა

*) იხ. „მოგზაური“ № 19, მაისი 1905 წ.

კი სამინისტროც შეშინდა და მეფის ბრძანებით ბანკეტი სრულიად აკრძალა, ოპოზიცია დაჩუმდა.

ამ გვარათ ბურჟუაზიული ოპოზიცია, გამოიწვია თუ არა ნამდვილი რევოლიუციური ძალა, შეშინდა და ბრძოლის ველიდან გადადგა; მის უკანასკნელ კრებაზე მხოლოთ რადიკალები და ლამარტინი იყო ბანკეტის მომხრე „რეფორმი“-ს რედაქციაში თავმოყრილ რადიკალებში იარაღის აღებას თხოულობდენ ლედრუ როლენი, მუშა ალბერტი, კოსიდერი; წინააღმდეგი იყვენ ლუი ბლანი, ფლოკენი და სხ. ვერ გავიმარჯვებთო.

გათენდა 22 თებერვალი. მიუხედავათ წყიმისა დილის შვიდის საათიდან ქუჩები ხალხით ივსება; მუშები, სტუდენტები, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, ქალი, ბავშვი, ცნობის მოყვარენი—ყველა გარეთ გამოდის და მარსის მოედანზე მიდის. თანხმობის მოედანზე ყვირილია: «ძირს, გიზო, გაუმარჯოს რეფორმას!» პანტეონიდან მომავალი სტუდენტობა და მუშები შედიან პალატაში პეტიციის გადასაცემათ, გამოსვლის დროს ერთი მუშა ეუბნება პალატის მოხელეს: «ხელ-ახლა დავბრუნდებით და მაშინ გვეყოლება ისეთი წითელი მთავრობა, როგორიც შენი პიჯაკიაო». ცხენოსანთა ჯარმა გაფანტა ეს ჯგუფი და პალატა შეკრა. ელისეის მოედანზე ხალხი ქვების სროლით უხვდება ჯარს და უკან სწევს, ბასტილიის მოედანზე პირველათ გაისმა «იარაღით», ახლო მახლო იარაღის საწყობები გაძარცვეს, ეკლესიის რკინის მოაჯირები გამომამტვრიეს, ტროტუარის ქვა-ფენილი ამოყარეს. ეტლები წააქციეს და შეუდგენ ბარიკადების ამართვას. კავალერია უსწრებს და არ ანებებს; ხალხი თან და თან მოდის სარევოლიუციო აღელვებაში, მას ყოველი მხრიდან ერეკებიან და ისინიც განაბირა უბნებს აწვება, და აი აქ ამ მუშათა ვიწრო ქუჩებში, სადაც თვითოეული სახლი, თვითოეული კენჭიც კი ნაცნობია, აჯანყებულნი იკრებენ ძალას და იწყებენ ქუჩის სიმაგრეთა ამართვას, საპოლიციო საჯარაჯოებს ეცემიან და დარაჯთ იარაღს, ართმევენ, მილიციონერთა ბინებში შედიან და იარაღი გამოაქვთ, იარაღის მეტი არავის არაფერი აგონდება, ტყვია წამალს ოქროზე მეტი გასავალი აქვს, ჰაერი ბრძოლის ნაკადულით გაიჟღენთა. ორ საათზე გამოიყვანეს 31 ათასი სალდათი და საერო მილიცია, უკანასკნელი ცოტა გამოცხადდა და გამოცხადებულნიც გაიძახოდენ გაუმარჯოს რეფორმასო, ხოლო დანარჩენთა უმრავლესობა თავისი თოფ-იარაღით აჯანყებულთა რაზმში იყვენ დილიდანვე; წვრილი ბურჟუაზია და პროლეტარიატი შეერთდა და ხელი ხელ გაყრილნი გამოვიდენ სისხლის დასაღვრელათ. გამოწვეული ჯარები დაიფანტენ დაფანტულ არეულობის ჩასაქრობლათ; ერთი ქუჩიდან დევნილი ხალხი მეორეზე გადადის, სახლებში და ეზოებში შედის და ჯარის გავლის შემდეგ ისევ ბარიკადების და იარაღების მოსამზადებლათ გამოდის. ამ მზადებაში და ერთი მეორეს ძალის შინჯვაში განვლო 22 თებერვალმა; საღამოს ხალხი წავიდ წამოვიდა და მთავრობამაც სიამოვნებით ამოისუნთქა. «საქმე მშვენიერათ მიდის», თქვა პოლიციის მინისტრმა დიუშატელმა. შუა ღამეზე ჯარები დაბრუნდენ ყაზარმებში.

იმავე ღამეს პარიჟის გარეთ დაბანაკებული ჯარები სწრაფათ შემოიყვანეს ქალაქში, ზარბაზნები დააწყვეს თანხმობის მოედანზე, კარუსელთან, საბჭოსთან, სენის ორივე ნაპირას, სენ-დენის და სენ-მარტენის უბნების შესავალთან, გადასწყვიტეს ყველა ცნობილი რადიკალების და რესპუბლიკანელების დაჭერა; მეორე მხრით არც რევოლიუციონერთ დაუძინიათ, ვიწრო და მიყრუებულ ქუჩებზე ნაშუაღამევს შეუდგენ უზარ-ბაზარი ბარიკადების აგებას და ტყვია წამლის მომზადებას.

გათენდა 23 თებერვალი.

ქუჩაზე ბრძოლის დროს რევოლიუციონერთა ტაქტიკა: ქვეითი ჯარი ტყვილ უბრალოთ არ გაუჯავრებიათ, პირიქით მიეფერ მოეფერონ, გაეხუმრ გამოეხუმრონ, ქალები და ბავშვები მიუგზავნონ, მიუახლოვონ, კაცთ მოყვარული გრძნობა გაუღვიძონ და ამით დისციპლინა მოშალონ. ამიტომ ამ დღეს არც ერთ ოპოზიციონურ გაზეთში ჯარი ცუდათ არ ყოფილა მოხსენებული; ხოლო ხალხი მის დანახვაზე ყვიროდა გაუმარჯოს ჯარსო, ქალები სალდათებს მისდევდენ და ეხვეწებოდენ არ ესროლოთ ჩვენ ძმებს და ქმრებსო. ჯარიც წინა დღესავით სასტიკობას არ იჩენს, ეს მილიციის საქმეა, ჩვენი საქმე გარეშე მტერთა ბრძოლააო. პტიპერის მოედანზე მილიციის მესამე ლეგიონი ხალხს იცავს დრაგუნდთა შემოსევისაგან, სენმარტენის ბულვარზე მეხუთე ლეგიონი აჩერებს კავალერიას და მას უხსნის ხალხი მართალია, ის მხოლოთ სამინისტროს გამოცვლას და რეფორმას თხოულობსო; სამეფო მოედანზე მერვე ლეგიონი უარს ამბობს მშვიდობიანობის აღდგენაზე, თუ ბაირაღზე არ წაწერიებენ გაუმარჯოს რეფორმასო.

მეორე და მესამე ლეგიონი აჯანყდენ თავის კონსერვატიულ ოფიცრების წინააღმდეგ; ბოლოს ვინსენის ლეგიონიც (მეოთხე) „აჯანყდა“ და პალატას დეპუტაციაც გაუგზავნა, თუ სამინისტროს ახლავე არ დაითხოვთ მერე გვიან იქნებაო. ამავე დროს მეფესთან მივიდენ მისი მეგობრები და დაუხატეს საქმის მდგომარეობა. „თქვენ გგონიათ ჩემს გადაყენებაზე ფიქრობენ? მათ ჩემ მაგიერი არა ვინ ყავთ“ ამბობდა მეფე. „არა, ხელმწიფეო, მართლაც არავინ ყავთ. მაგრამ შეიძლება რამე აქვსთ, მაგალითათ რესპუბლიკა“ მიუგო კარის კაცმა. დედოფალი ამან ისე დააშინა, რომ მაშინვე გადასწყვიტა გიზოს მსხვერპლით ტახტის ხსნა. გიზოს სამინისტრო დასცეს და ახალი კაბინეტის შედგენა დაევალა მოლეს. იშვა სამინისტროს კრიზისი, რამაც კიდე უფრო გაამხნევა რევოლიუციონერები და მოშალა „წესიერების დამცველნი“. საღამოს მეფემ გადასწყვიტა საარჩევნო რეფორმის მოხთენაც და გაგზავნა შიკრიკები მთელ ქალაქში რეფორმა ბოძებულიაო. ხალხი შეირყა. ბრძოლა წარმოებდა რეფორმისათვის, რადგან მიზანი მიღწეულია, ბრძოლა საჭირო აღარ არისო. იწყეს ბარიკადების მიტოვება და ქუჩების გაჩირაღდნებით გამარჯვების დღესასწაულობა. რევოლიუცია თავდებოდა ....

აი ამ კრიტიკულ მომენტში მოხდა ერთი შესანიშნავი მოვლენა, რადგანაც, თითქოს ქვესკნელიდგან ამოძვრა ერთი საიდუმლო ორგანიზაცია და დღემდის სრულიათ შეუმჩნეველი ხალხს სათავეში მოექცა. ეს იყო ბლანკისტთა „წლის ოთხი დროის“ ნამთი „საზოგადოება“, რიცხვით ცოტა, მარა საერთო აზრით და რევოლიუციური ცეცხლით შეკავშირებული და მედგრად წინ მიმავალი. ის იბრძოდა თავგანწირულათ, როგორც უბრალო ჯარის კაცი, მაგრამ როცა ყველამ უკან დაიხია, ის თავის ადგილიდან არ გაქანებულა და ამით რევოლიუციის ბაირაღი მას შერჩა, მან ხელათ გარს შემოიკრიბა გაპნეულ-გამოპნეული რევოლიუციონერები და პროლეტარიატს შესძახა: მოლე თუ გიზო, ჩვენთვის სულ ერთია, წინ შრომის ორგანიზაციისაკენ! მოწინავე პროლეტარიატი, რომელსაც თითქოს დავიწყდა თავის დროშა, უცებ შემობრუნდა და მას გამოყვა მთელი ხალხი. მიტოვებული ბარიკადები ისევ გაამაგრეს. ამ სახელოვან შემობრუნებას ხელი შეუწყო აგრეთვე მთავრობამ. ღამის ათ საათზე კაპუცინის ბულვარზე მანიფესთანტებს სრულიათ გაუფრთხილებელათ ესროლეს და 30 კაცი მოკლეს. ღალატია, შურის ძიება—

გაისმა ხალხში. გაჯავრებული ხალხის ერთი გროვა მიდის „ნაციონალის“ რედაქციაში წინამძღოლთა გამოსათხოვად, თანამშრომელნი კი განიეპარებიან პირით მას ამშვიდებენ, დამნაშავეთ სამართალში მივცემთო! ხალხი თხოულობს მონარქიის დასჯას, ისინი კი პოლიციელების დასჯით კმაყოფილდებიან! ამით კიდევ უფრო გაჯავრებული ხალხი მიდის „რეფორმის“ რედაქციაში, სადაც თანამშრომლები სიხარულით, ეგებებიან და ბრძოლის გაგრძელებას თხოულობენ. „რეფორმა“ შეიქმნა რევოლიუციის მეთაური.

შეშინებულმა მოლემ შუაღამეზე უარი თქვა სამინისტროს შედგენაზე და მეფემ მიმართა უკანასკნელ ხერხს რევოლიუციის გასატეხად: სამინისტროს შედგენა მიანდო ოპოზიციის მეთაურთ—ტიერს და ბაროს, ხოლო ჯარის ღმფროსობა რეაქციის ბურჯს—მარშალ ბიუჟოს, ე. ი. რეფორმის მომხრეთა ბაროს სახელით აჯანყებისაგან ჩამოშორება, ხოლო დანარჩენთა ბიჟუოს სახელით შეშინება. მეორე მხრით, იმავე ღამეს რევოლიუციონერებმა ამ.თეს 1500 ახალი ბარიკადი, რისვისაც მოსჭრეს 4000 ხე და აუარებელი ქვაფენილი აყარეს. მთავარი ბანაკი გამართეს ლუვრს და საბჭოს შუა.

დილის ექვს საათზე დაიძრა ჯარები და ბარიკადებს მიესია, ხოლო ტიერმა და ბარომ თავისი გამინისტრება, პალატის დაშლა და რეფორმის შემოღება პროკლამაციით გამოაცხადეს, მარა ამან ვერ გასჭრა. ივლისის მოტყუებით შეშინებული ხალხი ახლა აკი ადვილად არავის ენდობოდა და როცა მობარიკადენი თავგანწირულად იცავდენ თავის სიმაგრეს, ქუჩის ხალხი მთავრობის სამშვიდობო პროკლამაციას ხევდა და მის ალაგას „რეფორმის ბრძოლის“ პროკლამაციას აკრავდა. მარშალს ყოველი მხრიდან ატყობინებდენ, მთელი ქალაქი იბრძვის, ყველა სახლებიდან ისვრიან, ზოგი პოლკები გულგრილათ ეკიდებიან თავის მოვალეობას, მარტო ბარიკადების დაშლისათვის 4 დღეა საჭიროა და სხ. ამასთანავე ცნობილი ვაჭრები და პოლიტიკური მოღვაწენი მოსაშვალეთ ჩამოვარდენ. სროლა შესწყვიტეთ და ბარიკადებთან მიგვიშვით მოსალაპარაკებლათო. მარშალი დათანხმდა ამ წინადადებას და მრავალი ოპოზიციონერები დაიფანტენ ბარიკადებში ზავის ჩამოსაგდებათ, მაგრამ ამაოთ. ზომიერთა ოპოზიციამ უკვე დაკარგა ხალხის სიმპატია, სარბიელს დაეპატრონენ რადიკალები. ბარიკადებზე ფრიალებდა წითელი დროშა და მოსაშვალეთ გრიალით უპასუხებდა: ძირს ბარო, ძირს ტიერო, ძირს ლუი-ფილიპე, გაუმარჯოს ხალხის ბატონობას! სიტყვა რესპუბლიკა ჯერ კიდე არ ისმოდა, თუმცა ყველა მას ფიქრობდა. აჯანყებულებმა ჯარი გამოდენეს მუშათა უბნებისაგან და მოაწვენ საბჭოს და მეფის სასახლეს. პირველი შემდეგ დიდი სისხლის ღვრისა აიღეს და გასწიეს მეორისაკენ. საბჭოს აღებამ ერთიანათ მიმალა ჯარი. მის გასამხნევებლათ გამოვიდა თვით მეფე პედაურზე შემჯდარი და ჩვეულებრივათ მიესალმა. პასუხათ საერთო სიჩუმე მიიღო, აქა იქ დაიძახეს: გაუმარჯოს რეფორმასო! შეშინებულმა და შერცვენილმა მეფემ მაშინვე სასახლეში მოკურცხლა და გადასწყვიტა უფრო მოწინავე სამინისტროს შედგენით საქმის გამოკეთება. ამ დროს ბრძოლის ველიდან დაბრუნდა ღენერალი **ლამორსიერი** და მოახსენა: ამით არ დაკმაყოფილდებიან მეტს თხოულობენ. —რას, ჩემს გადადგომას? ამას ისინი ვერ ელირსებიან, შეუტია მეფემ და ეს იყო მოესმა თოფების გრიალი. ბრძოლამ მიატანა სასახლის წინა სიმაგრეს შატოდოსთან, რომელიც დიდი ჟლეტის შემდეგ აჯანყებულთ ჩაუვარდათ ხელში. მეფემ მაშინვე დასწერა ტახტიდან გადადგომის ქაღალდი და მეფობა დაულოცა შვილის შვილს, მარა გვიანი იყო, აჯანყებულნი უკვე მიაწვენ ეზოს კარებს, და როცა რევოლიუცია წინა კარებიდან შემოდიოდა, მეფე თავისი სახლობით უკანა კარებიდან გადიოდა, გადიოდა სამუდამოთ..

ტახტი წამოიღეს ბასტილიის მოედანზე და დედებელათ დაწვეს.

—ასე დაეცა ივლისის მონარქია.

ამ გვარათ კლასთა ბრძოლა გაბატონებული ბურჟუაზიის და დამორჩილებულის ხალხის, კაპიტალის და შრომის დასრულდა უკანასკნელის სრული გამარჯვებით., კაპიტალი ჩამოვარდა ტახტიდან და შრომა დაიძრა მის ადგილის დასაჭერათ. მარა პირველ დაძვრისა თანავე გამოჩნდა, რომ შრომის ბანაკში ყველაფერი ესე მწყობრათ არ არის, როგორც წინეთ ეგონათ. გამარჯვებულნი „მშრომელნი“, შეიცავდენ არა ცალკე „ხალხს“, არამედ ხალხს ორ დიდ კლასათ დაყოფილს: წვრილ ბურჟუაზიას და პროლეტარიატს. ამათ მოიცილიეს რა საერთო მტერი, დაიწყეს რა ძველი მთავრობა, შეუდგენ ახალის შექმნას და მისი საშვალებით თავისი „ბატონობის გამოცხადებას“. და აი ეს გამოცხადება უნდა მომხდარიყო თანახმათ თვითეული კლასის მდგომარეობისა და ინტერესებისა, წვრილი ბურჟუაზიამ თავშივე მოინდომა პროლეტარიატთან კავშირის გაწყვეტა და მთავრობის ერთნაირათ ხელში ჩაგდება. მისი წარმომადგენელნი ტიულერის სასახლის აღებისთანავე შეიკრიბენ პალატაში და აირჩიეს მთავრობის შესადგენათ შემდეგი პირები: ფრ. არაგო, დიუპონი, მარი, ლამარტინი, მარასტი, ლედრიუროლენი, გარნიპაჟი, და კრემიო. მეორე მხრით, «რეფორმის» რედაქციაში თავ მოყრილმა თანამშრომლებმა ამათ მოუმატეს ფლოკონი, როგორც რადიკალი, ლუიბლანი და მუშა ალბერტი, როგორც პროლეტარიატის წარმომადგენელნი. და აი ამ ორ ბანაკს შორის გაიმართა საბჭოში ბრძოლა. მთავრობის უმრავლესობა წინააღუდგა ბლანის და ალბერტის თავიანთ შორის მიღებას და მხოლოთ შემდეგ ამათი მუქარისა «გარეთ გავალთ და პროლეტარიატთან ერთათ შევიკავალთო» დათანხმდენ იმათ მიღებაზე, მარა ესეც არა მთავრობის წევრებათ, არამედ მდივნებათ (შემდეგ წევრებათ გახდენ).

როგორც ხედავთ გამარჯვებული კლასების პირველი შეტაკება მოხდა გამარჯვებისთანავე, მთავრობის შედგენის გამო.

რას წარმოადგენს ეს ახალი მთავრობა და საით მიისწრაფვის? მის მარჯვენა მხარეს შეადგენენ მოხუცი დიუპონი და ახალგაზდა კრემიო დინასტიური ოპოზიციიდან; მარცხენა—ლუი-ბლანი და ალბერტი პროლეტარიატიდგან; ყველა დანარჩენნი კი ცენტრს—წვრილი ბურჟუაზიიდგან. უკანასკნელნი იყოფიდენ ორათ: ზომიერნი (არაგო, მარი, გარნიეპაჟი და მარასტი) და რადიკალები (როლენი და ფლოკენი). ხოლო ყველაზე მაღლა მდგომი, ყველას მომრიგებელი და მოსაშვალე არის პოეტი ლამარტინი, ეს ინტელიგენციის წარმომადგენელი, რომელიც გულწრფელათ ამბობდა: „აი ეს მთავრობა ბოლოს მოუღებს სხვა და სხვა კლასებს შორის საშინელ გაუგებრობას“. აშკარაა, აქ ყველა ოპოზიციური კლასებია წარმოდგენილი, ეს არის მარცხენა პარტიათა შეერთება, მათი „ბლოკი“ ეს **კლასთათანამშრომლობის** მთავრობაა. მაგრამ, რადგანაც ის ბარიკადებიდგან იშვა და მას პარიჟის პროლეტარიატი დარაჯათ უდგა, ამიტომ უმრავლესობას ეშინოდა ამ ახირებული ყარაულის და ესწრაფოდა მთელი საფრანგეთის წარმომადგენელთა მოწვევას, თავისი უფლებების მათთვის გადაცემას. და მით რევოლიუციური პროლეტარიატისაგან განთავისუფლებას. მაშასადამე ახალი მთავრობა არის აქ ეროებით, სანამ საერო კრება მოვიდოდეს და მუდმივ მთავრობას შეადგენდეს. ის თავის თავს აცხადებს **დროებით მთავრობათ.**

დროებითი მთავრობა, როგორც კლასთა თანამშრომლობის მთავრობა, ყველა ოპოზიციური კლასების თანაგრძნობას იწვევს; საშვალო ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, წვრილი ბურჟუაზიის ორივე ნაწილი და პროლეტარიატი აქ ხედვენ თავის ინტერესების დამცველთ, თავის კაცთ და მის მფარველათ გამოდიან. იბადება ილიუზია ყველა ამ კლასების დაძმობილების, შეთანხმების და ერთი მეორის უღლისაგან ერთმანერთის გვერდზე განთავისუფლების. პროლეტარიატი დროებით მთავრობისაგან გამოელოდა „შრომის ორგანიზაციას“ სიღატაკის მოსპობას: ე. ი. მოითხოვდა ისეთ რამეს, რის განხორციელება აუქმებდა მთელ ბურჟუაზიას, წვრილსაც და სხვილსაც. და მოითხოვდა ამას ვისგან? იმავე ბურჟუაზიისაგან! აი პროლეტარიატის ტრაღიკული მდგომარეობა.

იმისი მოკავშირე წვრილი ბურჟუაზია კი სრულიად არ თხოულობს ბურჟუაზიული საზოგადოების შეცვლას, კაპიტალისტური წარმოების გაუქმებას, პირიქით მას სურს ამ საძირკველზე ამოიყვანოს შესაფერი კედელი, შემოილოს ცენზის მაგიერ საყოველთაო კენჭის უფლება, მეფის მაგიერ პრეზიდენტი, ერთ სიტყვით დაარსოს ბურჟუაზიული რესპუბლიკა.

აი რა სხვა და სხვა ნამდვილი ინტერესები ამოძრავებენ ამ ორ კლასს და იმავე დროს გონიათ ძმები ვართო.

როგორ უნდა გაიხსნას ეს საშინელი ნასკვი?

ოცდა ოთხს თებერვალს დილიდან შუადღემდის მონარქია დაეცა. შუადღიდან შუაღამემდის რესპუბლიკა დაწესდა, მეორე დღეს როცა ქვეყანა სიხარულშია, უცნობ ნაცნობი ქუჩაზე აღტაცებული ერთმანეთს კოცნიან და რესპუბლიკას ულოცავენ, საბჭოს მოედანზე თავი მოიყარა აუარებელმა მუშამ და მთავრობას მუშა მარშეს ხელით პეტიცია შეუგზავნა. მაშე თოფით ხელში წარუდგა მთავრობას და მოახსენა: „მოქალაქენო, შრომის ორგანიზაცია, შრომის უფლება ერთი საათის განმავლობაში—აი ასეთია ხალხის ნება—ის იცდის“ და თან გადასცა შემდეგი პეტიცია: „ქვემორე ხელის მომწერი, რედაქტორი „მშვიდობიან დემოკრატიისა“, ავგუსტ ლანსი მუშათა დეპუტაციის თხოვნით ვწერ, მუშები თხოულობენ: 1, შრომის ორგანიზაციას, შრომის უფლების უზრუნველყოფას; უზრუნველ ყოფილ მინიმუმს მუშის და მისი ოჯახისათვის ავადმყოფობის დროს; მუშის დახსნა სიღატაკისაგან. როცა მას არ შეუძლია მუშაობა, ყველა ამისთვის საშვალება უნდა გამონახოს გაბატონებულ ერმა“.

მაშეს ენერგიულ მოთხოვნით ხალხის გარედიდან ძალდატანებით მთავრობამ ხელი მოაწერა ლიუბლანის იქვე მასშესთან მოლაპარაკების შემდეგ დაწერილ დეკრეტს.

„საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა თავის თავზე ღებულობს მუშის არსებობა უზრუნველყოს შრომით“.

ის აღუთქვამს ყველა მოქალაქეს მისცეს სამუშაო;

„ის აღიარებს, რომ მუშებმა უნდა დაიარსონ ასოციაცია თავის შრომის ნაყოფის თავისთვის მოსახმარათ;

„დროებით მთავრობა უბრუნებს მუშებს ერთ მილიონს, რომელიც სასახლის ხარჯებიდან რჩება და მათ ეკუთვნის“.

მარშეს შეკითხვაზე როდის განხორციელდება ეს დეკრეტიო, ლამარტინმა მიუგო, ასეთი დიდი საქმის მოწყობა ერთ საათში არ შეიძლება, დაგვაცალეთო. მაშ კარგი, ხალხი მოიცოთის **სამ თვეს** კიდევ გაატარებს სიღარიბეში რესპუბლიკის სამსახურისათვის—მუგო მარშემ და გამობრუნდა.

ამ ნაირათ 25 თებერვალს დროებითი მთავრობა მუშებს პირდება შრომის ორგანიზაციას, ხოლო მუშები პირდებიან სამი თვის მოთმენას. ეს დეკრეტით დადასტურებული და საქვეყნოთ გამოცხადებული ხელშეკრულობა. ბურჟუაზიამ პროლეტარიატს დაპირდა თავის თავის გადაყენება და მანაც ეს დაიჯერა! ნამდვილათ კი მთავრობის უმრავლესობა სრულიათ არ ფიქრობდა პირობის შესრულებას და მით თავისებური მოწოდების უარისყოფას.

მუშები ხელშეკრულობით დაიკედებულნი დაიშალნენ, რომ მეორე დღეს ისევ მოგროვილიყვენ მთავრობის ცბიერებასთან საბრძოლველათ, რაკი მთავრობამ რესპუბლიკა დეკრეტით სოციალისტურ წყობილებათ აღიარა, აშკარაა მის დროშათაც სოციალიზმის წითელი დროშა უნდა გამოეტანა. ამის მაგიერ კი მან ისევ ბურჟუაზიის სამფეროვანი ბაირაღი ააფრიალა და მით პროლეტარიატი ხელახლა აბობოქრა. 26-ს დილით საბჭოს მოედანზე თავმოყრილ მუშებმა მოითხოვეს წითელი დროშის საერო დროშათ გამოცხადება. მთავრობაში ამ მოთხოვნილებას წინააღუდგა ყველა, გარდა ლუიბლანისა და ალბერისა. აქ მოხდა წვრილი ბურჟუაზიის პირველი აშკარათ გამოშორება პროლეტარიატისაგან. მაგრამ რომ ეს გამოშორება დაეფარათ და ერთობა ისე მოეჩვენებიათ, დაადგენ კომპრომისს, გადასწყვიტეს წითელი ლენტის შემოვლება სამფეროვან ბაირაღის თვის და სახელმწიფო მოხელეთა მიერ ასეთივე ლენტის ტარება.

როგორც ხედავთ ჯერ კიდევ ბარიკადები არ აუღიათ, ქუჩაზე დანთხეული სისხლი არ შემხმარა, რევოლიუციური გრძნობები არ დადუმებულა, ხოლო მთავრობა ხელში ჩაიგდო შეიარაღებულმა პროლეტარიატმა და მას ემუქრება, ვინც ჩვენი მომხრე არ არის, ჩვენი წინააღმდეგიაო. მუშებს ეშინიათ წინანდებურათ არ მოატყუონ, სხვისა იარაღი არ შეიქნეს და ამიტომ მთავრობას კრიჭაში უდგია. მეორე მხრით, ციხიდგან განთავისუფლებულ ბლანკის მიერ დაარსებულ კლუბში პირველათ გამოითქვა აზრი „ბლოკის“ მთავრობის უმრავლესობის გადაგდების და მის ალაგას მუშათა წარმომადგენელთა ჩაყენების. „მთავრობა ხელში ჩაიგდო „ნასიონალის“ ხალხმა, ამ უძლურ ევნუხებმა, რომელნიც დაკარგავენ რესპუბლიკას, თუ დავანებეთ. საჭიროა მათი იქიდან გამორეკა და ჩვენი კაცის ჩაყენება“,—თქვა კლუბში გრუსსემ. “ამისათვის გვჭირია დიდი ხალხი, მუშათა აჯანყებული უბნები“,— განმარტა ბლანკიმ.

და ასე დროებითი მთავრობას ორივე მხრიდგან ემუქრებიან. რა უნდა ექნა მას? როგორ უნდა დაეცვა თავისი არსებობა, თავისი ბურჟუაზიული ბუნება? მას ჯარი არ ყავდა, ის უკვე პარიჟიდან გაიყვანეს და მთელი ხალხი საერო მილიციათ აღიარეს; მას არც პოლიცია ყავდა, პოლიციას დაეპატრონენ საიდუმლო საზოგადოებათა წევრები, მონტანიკერები—კომიდიერის მეთაურობით. მაშ რა უნდა ექნა ამ თერთმეტ კაცს? შარნიე-პაჟის სიტყვით მათ ერთათ-ერთ იარაღს შეადგენდა „მორალური ძალა“; მარა ეს ძალა, რომლის საფუძველი იყო პროლეტარიატის ილიუზია, უნდა გამქრალიყო ამ ილიუზიის გაქრობისთანავე, ე. ი, მთავრობის ნამდვილი სახის დანახვისთანავე. მაშასადამე, მთავრობას ეჭირვებოდა მატერიალური ძალა და რაღგანაც ამ ძალას პროლეტარიატი შეადგენდა, ცხადია, მასაც აქ უნდა მოენახა თავის პოზიცია. და აი მთავრობის სამივე დრაკონი შეუდგა თავის პოზიციის გამაგრებას, მუშების დაყოფას და ასე «მდგომარეობის ხსნას».

ყველაზე უფრო რევოლიციური და მოუთმენელნი იყვენ უსაქმოთ დარჩენილი მუშები. მთავრობამ ხელათ გადაწყვიტა ამათთვის სამუშაოს გაჩენა, ქუჩიდან სახელოსნოში გაყვანა, კაი ხელფასის მიცემა და ამით მათი მომხრობა ამ მიზნით 26 თებერვალს ის აარსებს «საერო სახელოსნოებს» და მის მეთაურობას აბარებს გზათა მინისტრს მარის. მარიმ ასე მიმართა მუშებს: „მუშებო, შემდეგ გამარჯვებისა შრომა! თქვენ

ერთი შესანიშნავი მაგალითი გაქვთ ქვეყნისათვის და თქვენ მას უეჭველია მისცეთ".

მოიმხრო რა ამით ასიათასზე მეტი მუშა, მთავრობა შეეცადა დანარჩენთათვისაც რაიმე „საქმის" გაჩენას, რაც ერთხანს თავს აქცევინებდა და საერო კრების მოწვევამდის ჩააჩუმებდა. მას ა მის შემთხვევა ჩქარა მისცეს. მთავრობა პროლეტარიატს დაპირდა შრომის ორგანიზაციას, ხოლო ამ დაპირების ასასრულებლათ არავითარი ღონეს არ ღებულობდა. და აი 28 თებერვალს აღრებელი პროლეტარიატი გამომცხადდა საბჭოს მოედანზე და მოითხოვა შრომის სამინისტროს დაარსება. მთავრობამ უარყო ეს მოთხოვნილება. ლიუ-ბლანმა და ალბერტმა დათხოვნის ქალალდი წარადგინეს. ამათი მთავრობიდან გასვლა ნიშნავდა „ბლოკის" დარღვევას, მუშათა იღუზიის გაქრობას, მთავრობის ნამდვილი სახის გამოაშკარავებას,—ერთი სიტყვით მოედანზე თავმოყრილ ხალხის დარბაზში შემოსლას და ახალი რევოლიუციის დაწყებას. ამიტომ ბლანის განზრახვას ყველა წინააღუდგა და ისევ ყოველად მხსნელ კომპრომისს მიმართეს—დაადგინეს მუშებისათვის „მთავრობის კომისიის დაწესება, რომლის მიზანია შრომის პირობების შესწავლა, და პროექტების შედგენა და საერო კრებისათვის წარდგენა; ე. ი. ეს გადაგდებული ძვალი მუშებს უნდა ეხრათ მუდმივ მთავრობის შედგენამდის და მით დროებითი მთავრობა განსაცდელისაგან ეხსნა. ბლანი არ დათანხმდა ამას. „რას ვიზამ მე უძალოთ, უბიუჯეტოთ, ჩემი აზრების განხორციელებისათვის ყოველივე საშუალებას მოკლებულმა? მე მთხოვენ ლექცია ვიკითხო მშიერთა წინაშე შიმშილის შესახებ! თუ ხალხს კიდე უნდა ულალატონ, დეე მოღალატე იყოს სხვა, მე კი არასოდეს".—განაცხადა მან. ლიბლანი ჩაყარდა ღალატს და რევოლიუციას შორის. ის რომ რევოლიუციონერი ყოფილიყო, რა საკვირველია, უკანასკნელს ირჩევდა და პროლეტარიატის დიკტატურას გამოაცხადებდა. მაგრამ ის იყო შომხრე „ბლოკის", კლასთა მთთანხმების და ფიქრობდა ამ მიზნით სოციალიზმის განხორციელებას და როცა კითხვა დაისვა: «ბლოკი» თუ პროლეტარიატი, კლასთა თანამშრომლობა თუ კლასთა ბრძოლა,—ის პირველს მიემხრო და «შიმშილის შესახებ დამშეულთა წინაშე ,,ლეკტორობა იტვირთა. ის დაინიშნა ,,კომისიის" თავმჯდომარედ, ალბერტი თანაშემწედ; ბინათ მიუჩინეს ლიუქსემბურგი. ამის შესახებ გამოცემულ დეკრეტში ვკითხულობთ: ,,რადგანაც ხალხის მიერ მოხთენილი რევოლიუცია უნდა იყოს ხალხისავე სასარგებლო, რადგანაც დროა ბოლო მოეღოს მუშათა ხანგრძლივ და უსამართლო ტანჯვას, რადგანაც შრომის კითხვა არის უმაღლესი კითხვა და სხვა და სხვა. ვაარსებთ კომისიას და ,,ვიწვევთ მუშებს მონაწილეობა მიიღონ კომისიაშიო".

ამ სახით „საერო სახელოსნოებით" მთავრობამ მოიმხრო უსაქმოთ დარჩენილი მუშები, ხოლო საქმის მქონე ლუი-ბლანი და ალბეტიოურთ საბჭოდან ლიუქსენბურგში გადაასახლა და იქ ლაპარაკში ჩააბა. მუშებს რჩებოდა გამარჯვების იღუზია. მარის «საერო სახელოსნო», ლუ ბლანის «სოციალურ სახელოსნოთა» მიიღეს, ოუმცა მათ შორის არავითარი მსგავსება არ ყოფილა გარდა სახელისა, ხოლო ,,კომისია" დასახეს „უსამართლო ტანჯვის" ბოლოს მომღებათ!

მთავრობის ორმა ფრაქციამ გაიყო რა ასე პროლეტარიატი, დარჩა მესამე ფრაქცია უპროლეტარიატოთ. როლენი და ფლოკონი, რომელთაც დიდი რევოლიუციის იაკობინელთა გვირგვინი ძილს არ აძლევდა, გადაწყვიტეს ამათ გზაზე შედგომა და დიდი რევოლიუციის გმირების სრულიად სხვა პირობებში გაცოცხლება. იმათ იაკობინელებსავით მიმართეს კლუბების გავლენას და იქ სიმაგრის მოპოებას. კლუბები ერთობ მრავალი დაარსდა. რამდენიმე დღეში სამასზე მეტი. ამათ შორის, გარდა ბლანკის კლუბისა, შესანიშნავია „რევოლიუციის კლუბი", «ადამიანის უფლებები», «კაბეს კლუბი» «სრბარიეს კლუბი» და სხ. მონტანიართა ორას კლუბთა ცენტრს შეადგენდა „კლუბთა კლუბი", რომელსაც მეთაურობდა პრეფექტი კოსიდერი, მის თანაშემწე სობრიე, ბერეარი, რასპაელი, ჰუბერი—სუყველა ძველი კონსპირატორები, როლენი მიემხრო ამათ და მათ მიერ წარმოდგენილი მონტანიარები პროვინციაში დაგზავნა რადიკალური რესპუბლიკის საქადაკებლათ. მონტანიართა კლუბებში კითხვა აღძრეს შესახებ მთავრობის უმრავლესობის მოშლისა და რესპუბლიკის სათავეში ლედრუ-როლენის მოქცევისა.

ასე დაიყო პარიჟის რევოლიუციური ჯარი. «საერო სახელოსნოები», ლიუქსენბურგელები, მონტანიარები, ბლანკისტები—აი ამათ უთანხმოებას და განხეთქილებას უნდა ეხსნა დროებითი მთავრობა. ეს იყო მისი ,,მორალური ძალა". ამით დაიმედებული მთავრობა შეუდგა წვრილი და მსხვილი ბურჟუაზიის მომხრობას და თავისი ნამდვილი დანიშნულების შესრულებას. მისი მთავარი საზრუნავი გახთა რევოლიუციის მიერ შერყეული კრედიტის აღდგენა და ვაჭრობა. მრეწველობის ჩვეულებრივ კალაპოტში ჩაყენება. საჭირო იყო დიდძალი ფული. ივლისის მოწარჩამ კი ხაზინაში მხოლოთ ოცდა თოთხმეტი მილიონი დატოვა. მთავრობამ მიმართა კერძო ,,პატრიოტულ შემოწირულობას", რასაც გამოეხმაურა პირველ ყოვლისა მუშები. ამათ მთავრობა თავისი ეგონათ და მისი გაჭირვება თავის გაჭირვება. აი მაგალითათ რას წერს მთავრობას მუშათა ერთი კორპორაცია: ,,ჩვენ თვითონ მუშები ვაწვდით მცირე დახმარებას 2,000 ფრანკს თქვენი კეთილშობილური საქმეების დასაგვირგვინებლათ. ვწუხვართ მხოლოთ, რომ ეს ჩვენი შემოწირულება ასჯერ მეტი არ არის". ბურჟუაზია პირიქით ისე დაფრთხა, რომ თავის საქმეებს აჩერებდა, მუშათ და მოსამსახურეთ ითხოვდა და ფული უცხოეთის ბანკებში გადაქონდა. მისთვის დროებითი მთავრობა კომუნისტური მთავრობა იყო და ყოველ დღე კაპიტალიზმის დანგრევის დეკრეტს ელოდა! აუცილებელი გახთა ახალი გადასახადების შემოღება. მარა ვის გადაახდევინონ? ბანკირებს ბირჟევნიკებს, კაპიტალისტებს, როგორც ამას მემარცხნეები თხოულობდენ? ეს ხომ მათი კიდე უფრო დაფრთხობა, და კრედიტის კიდევ უფრო შერყევა. დარჩა ისევ ერთი უენო კლასი, რომელაც ყველაფერს იტანს, რევოლიუციური მთავრობამ გლეხებს აუწია გადასახადი! დიდი რევოლიუციამ გლეხობას მრავალი გადასახადი მოუსპო და ამით ის გარევოლიუციონერა. თებერვლის რევოლიუცია კი მის ,,ბარიკათ" გამოვიდა და მით ის რეაქციას გადაუგდო. შემოსული ფულიდან (162 მილიონი) 60 მილიონით დაარსდა წვრილი ბურჟუაზიისათვის პატარა ბანკები პარიჟში და პროვინციის ქალაქებში. გარდა ამისა გაიხსნა გასაყიდი საქონლის საწყობები (ვარანტი), სადაც ვაჭარს შეეძლო გაუყიდავი საქონელი მოეტანა, სამაგიერო კვიტანცია მიეღო და ეს ბანკებში ფულზე გადაეხურდავებია. იმ ორმა ზომამ კრიზისი შეასუსტა, კრედიტი აღადგინა და მთავრობას მთელი ბურჟუაზიის ნდობა მოუპოვა. ახლა მას მიემხრენ არა მარტო შეძლებული და შეშინებული კაპიტალისტები, არამედ მემამულენი, ეპისკოპოზები, ხუცები, ბერები, მხედრები—ყველა წინანდელი მოწინააღმდეგენი ამათ მოინდომეს რესპუბლიკის ცნობა, მისი ხელში ჩაგდება და თავის ინტერესებისათვის ამუშავება. ესენი შეერთდენ და მისცეს დასაბამი ,,წესიერების პარტიას".

ამნაირათ, პროლეტარიატს დაპირება და დემორალიზაცია, გლეხობას გადასახადი, ბურჟუაზიას კრედიტი და ვარანტი—აი ,,კლასთა თანამშრომლობის" პირველი ამოსაღები.

მთავრობა ამით კიდე ვერ დაკმაყოფილდა, მას პროლეტარიატის შიშით მოსვენება არ ჰქონდა და გადაწყვიტა საკუთარი მხედრობის გაჩენა, მხედრობის მრისხანე იანიჩართა და მისთვის თავდადებულთა. საიდამ უნდა მოეწვია მას ამის ხალხი? რასაკვირველია ისევ პარიჟიდან, ისევ დაბალი კლასიდან რომ მუშებს გონებოდათ ეს ჯარიც ჩვენიაო. როგორც მოგეხსენებათ ყველა დიდ ქალაქშია მცხოვრებთა ,,ნაძირალი'', რომელიც არც თესს, არც მკის, არც რაიმე მუშაობას ეწევა, ხოლო ცხოვრებით კი ცხოვრობს. ეს სხვა კლასების ნასუფრალით მცხოვრები გახლავთ ,,მათხოვრული პროლეტარიატი'', (ე. ი. მაწანწალანი, ბოსიაკები), რომელიც ძირიანათ განსხვავდება სამრეწველო პროლეტარიატისაგან. მთავრობამ პარიჟის 25 ათასი ბოსიაკი მოკრიბა, ფორმის ტანისამოსი ჩააცვა, დღეში ფრაკნახევარი ჯამაგირათ გაუჩინა, ოფიცრები უფროსებათ მისცა, დაარქვა ,,მოძრავი მილიცია'' და ამ მუდამ წესიერების დამრღვევთ, წესიერების დაცვა ჩააბარა. პროლეტარიატი პროლეტარიატის წინააღმდეგ! დასასრულ მთავრობამ დანიშნა საერო კრების არჩევანი 9 აპრილისათვის საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და საიდუმლო კენჭის ყრით, პრესის, კრების და სიტყვის სრული თავისუფლებით. ხოლო მისი სხდომების გახსნა 20 აპრილისათვის. ამასთანავე გააუქმა თავად-აზნიურობა და პერთა პალატა.

ან.

(შემდეგი იქნება).

დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა.

(კლარა ცეტკინასი).

თარგმანი რუსულიდან.

I.

(გაგრძელება) *)

თავდაპირველათ ფაბრიკა იზიდავდა ქალს, შედარებით დიდი ხელფასით და უფრო ადვილი შრომით, მაგრამ მალე აუცილებელმა საჭიროებამ ჩაითრია ის სამრეწველო ცხოვრების ნაკადულში და იქ სამუდამოთ დატოვა.

ყოველივე ახალი გამოგონება, ახალი ტეხნიკური გაუმჯობესება თანდათან აადვილებდა წარმოების პირობებს და მით შესაძლოთ ხდიდა ქალის შრომას ფაბრიკაში. ამ გარემოებამ აუარებელი მშრომელი ხალხი დატოვა უსაქმოთ; გაჩნდა მრავალ-რიცხოვანი სათადარიგო-სამრეწველო არმია, რამაც შესამჩნევათ დასწია მუშის ხელფასი.

მამაკაცის ხელფასი ოჯახის საჭიროებას უკვე ვეღარ ადიოდა ხშირათ ეს ხელფასი მარტოხელა, უცოლშვილო კაცის მოთხოვნილებასაც ძლივს აკმაყოფილებდა.

გაჭირვებამ მალე ცოლიც აიძულა ოჯახის სარჩენათ გარეთ გასულიყო და თვისი ხელფასი ქმრის ხელფასისთვის შეერთებინა. დედაკაცის შრომამ დაკარგა თვისი წინანდელი ხასიათი, რომელიც გამოიხატებოდა მხოლოდ ოჯახის მოვლა-პატრონობაში; ახალმა ცხოვრების პირობებმა ქალი ოჯახიდან გამოიყვანა და მით მისცა მას საშუალება უმჯობესათ ცხოვრებისა, სრულიად დამოუკიდებლათ არსებობისა. ახალმა ეკონომიურმა პირობებმა დაარღვიეს ქალის უწინდელი მოქმედება (ოჯახში), შეცვალეს მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა და მოახდინეს სრული ცვლილება ძველ, მამაკაცის ბატონობაზე დამყარებულ ოჯახში.

ქალის უწინდელი მოღვაწეობა იმ თვისებისა იყო, რომ ყველა ოჯახის წევრებს ერთათ აგროვებდა და შინაურ კერასთან თავს უყრიდა; ეხლა კი როდესაც დედა-კაცის მოქმედება მთლათ ფაბრიკაში გადავიდა, უწინდელი ოჯახი დაირღვა, მაგრამ მის ნაცვლათ დაიდო საძირკველი ახალი, ფართო-მასშტაბიანი დამოუკიდებლობისა, ქალთა ემანსიპაციისა.

როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიაც, უფლებრივი ნორმები და იდეები უკან ჩამორჩენ ახალ ეკონომიურ ცხოვრებას.

ქალის ეკონომიური და საზოგადოებრივი მდგომარეობის ცვლილება უკვე მომხდარი ფაქტია. რაც შეეხება მის პოლიტიკურსა და უფლებრივ მდგომარეობას—ცვლილება ამ მხრივ ჯერ არ მომხდარა და ვინ იცის რამდენი დრო გავა, სანამ ეს მოხდებოდეს...

მართალია ახალმა წარმოების პირობებმა ქალი ეკონომიურათ თავისუფალი და დამოუკიდებელი გახადა, მაგრამ, რაც შეეხება პოლიტიკურსა და უფლებრივ მდგომარეობას—ამ მხრივ ქალი ძველებურათ მამაკაცის მფარველობის ქვეშ დარჩა.

მრეწველობა თანდათან ვითარდებოდა და ყოველი ახალი ტეხნიკური გაუმჯობესობა ათასობით გლეჯდა ქალებს ოჯახის კერას და აგდებდა გარეთ, ბაზარში. დღეს ქალი უკვე აღარ მუშაობს თავის ოჯახისთვის —ის შრომობს მსოფლიო ბაზრისთვის.

ქალის საფაბრიკო შრომა მალე თვალსაჩინო ეკონომიურ ძალათ შეიქნა, რითაც სიამოვნებით ისარგებლა ეკონომისტმა.

სამრეწველო ასპარეზზე დედაკაცი მამაკაცის მეტოქეთ გამოვიდა; ამ გარემოებამ ის გავლენა იქონია, რომ მიწოდებამ (**предложеніе**) მოთხოვნილებას (**спросъ**) გადააჭარბა და მით მუშის ხელფასი დასწია. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც თავიდანვე ქალის შრომა, მამაკაცის შრომასთან შედარებით, უფრო იაფი იყო; ამის მიზეზი კი ის იყო, რომ დღემდის ქალი არავითარ ღირებულებას ბაზრისთვის არ ამზადებდა. საზოგადოთ, წინეთ, ქალის შრომა, რომელსაც ის ოჯახში ეწეოდა, საზოგადო საჭირო შრომის (**общественно-необходимый трудъ**) მცირე ნაწილს შეადგენდა; აქედან გამოიყვანეს ყალბი დასკვნა ქალის შრომის უნაყოფობაზე.

ქალის შრომის იაფობის მიზეზი იყო აგრეთვე ქალის ნაკლები მოთხოვნილება და ის გარემოება, რომ თვისი შრომის ფასით ის ხშირათ თავის საჭიროების მხოლოდ ერთ ნაწილს აკმაყოფილებდა და ამავე დროს ოჯახში მუშაობასაც განაგრძობდა.

არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ ქალები, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, მონობას შეჩვეულნი, მოკლებულნი თავიანთ ინტერესების შეგნებას, სოლიდარობას და საკუთარი ღირსების პატივისცემას, წარმოადგენდენ მორჩილსა და იაფ სამუშაო ძალას.

მაგრამ ქალი გამოდგა არა თუ მარტო იაფი სამუშაო ძალა, არამედ ძალიან ხელოვნური და გამოსადეგი მუშა, რომელმაც, ზოგიერთ სამრეწველო დარგში, მამაკაცსაც კი გადაჭარბა.

ამ ნაირათ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ დედაკაცი, რომელსაც აქამდინ ამცირებდენ და მამაკაცზე დაბლა აყენებდენ, სამრეწველო ასპარეზზე მამაკაცის მეტოქეთ გამოვიდა; მეტოქეთ, რომლის მით უფრო უნდა ეშინოდეს კაცს, რაც უფრო უმჯობესდება ტეხნიკა, იგონებენ ახალ-ახალ მანქანებს, რომელნიც კაცის სამუშაო ძალას მეტათ ხდიან.

გამოვა თუ არა ქალი სამრეწველო ასპარეზზე, საშინლათ ეცემა მუშა-კაცის ხელფასი და, რამდენათაც შესაძლებელია, ქალის შრომა აძევებს მამაკაცის შრომას ამა თუ იმ მრეწველობის დარგიდან. რაც შეეხება ქალის შრომას, მას უწევს მეტოქეობას ბავშვის შრომა; საზოგადოთ ადამიანის შრომას მეტოქეობას უწევს მანქანა—ეს შეუბრალებელი კონკურენტი ადამიანის შრომისა.

*) იხ. „მოგზაური" № 19, მაისი 1995 წ.

წარმოებრივ დამოკიდებულებას ამნაირი შედეგი აუცილებლათ მოსდევს მანამდის, სანამ წარმოება არ აკმაყოფილებს თვით მწარმოებლების მოთხოვნილებას, სანამ არსებობს მისთვის, რომ შესძინოს სიმდიდრე კერძო პირებს—კაპიტალისტებს, სანამ არსებობს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ კი არა, ნაწარმოები საქონლის გასაყიდათ, სანამ წარმოებას ჰკიდებენ ხელს იმ ანგარიშით, რომ იყიდონ რაც შეიძლება იაფათ და გაყიდონ რაც შეიძლება ძვირათ.

ინდუსტრია (მრეწველობა) უსათუოთ უნდა სარგებლობდეს ქალის შრომით, რათა შეძლება ქონდეს დასცეს მამაკაცის შრომის ფასი და ხელფასი საზოგადოთ...

ყოველივე ცდა ჩვენი მხრით, რომ დედაკაცი ძველებურ ოჯახის კერას დავუბრუნოთ, ან მის შრომას მრეწველობაში ხელი შეუშალოთ, წარმოადგენს უნაყოფო დროს დაკარგვას და სისულელეს, იმ ნაირ სისულელეს, როგორიც ჩაიდინეს ინგლისელმა მუშებმა, რომელნიც მანქანების მიერ შექმნილ კონკურენციის მოსასპობათ, ფაბრიკებსა და მანქანებს ანადგურებდენ.

დღეს რომ ქალის შრომის მოსპობა ან შემოსაზღვრა მოვიწადინოთ, (აქ არ უნდა მივიღოთ მხედველობაში ის შრომაც, რომელიც მავნებელია, როგორც თვით ქალისთვის, ისე შთამომავლობისთვისაც), ეს იქნება ცხოვრების ჩარხის ჯაყვლმა შეტრიალება და თანამედროვე ეკონომიური, და საზოგადოებრივი პირობების სრული გაუგებრობა.

ეკონომიური პირობები ჩვენ სურვილებს არ ემორჩილებიან, არც იმას დაგიდევენ რა ნებავთ პეტრეს და ივანეს, რომელნიც, სანტიმენტალური სიბრიყვის გამო, ცდილობენ ძველებურათ ქალი ოჯახის კერას მიაკრან, ეკონომიურათ დამოკიდებული გახადონ და პოლიტიკურათ და იურიდიულათ დაიმორჩილონ.

წარმოების პირობები ყურადღებას არ აქცევენ ჩვენ პირად სანტიმენტალურ სურვილებს; ისინი ემორჩილებიან მხოლოთ ეკონომიურ აუცილებლობას, რომელიც ისეთივე უცვლელია, როგორც სტიქიური ძალა.

თანხმათ ამ აუცილებლობისა, ქალი, მიუხედავათ წვრილ ბურჟუაზიულ მოთქმა-გოდებისა, უსათუოთ უნდა დარჩეს სამრეწველო ასპარეზზე; ამასთან ერთათ მისი მოქმედების წრეც თანდათან უნდა ფართოვდებოდეს და მრეწველობაში ფეხს იდგამდეს.

თანხმათ ამ ეკონომიური აუცილებლობისა, ვერც ოჯახს, და ვერც კაპიტალისტს, ვერ შეუძლიათ უარჰყონ ქალის საფაბრიკო შრომა.

მსოფლიო ბაზარზე კაპიტალისტთა შორის სასტიკი კონკურენციაა. ყოველი კაპიტალისტი იმ მოსაზრებით, რომ არ დაიღუპოს, იძულებულია თვისი წარმოება გააიაფოს; რაც უფრო მეტია კონკურენცია, მით უფრო მცირდება მუშის ხელფასი, მით უფრო ნაკლები საშუალება ეძლევა მუშა კაცს თავისი შრომით ცოლ-შვილი ასაზრდოკოს და მით უფრო აუცილებელ საჭიროებათ ხდება ცოლის შრომა ოჯახისთვის.

საზოგადოთ, სამუშაო ხელფასის დაკლება ქალისა და მანქანურ შრომის თანდაყოლილ თვისებას რადი შეადგენს. ორივე შრომის „ბუნებრივი“ მიდრეკილება იმაში გამოიხატება, რომ ყოველ ინდივიდს (პიროვნებას) საშუალო საზოგადოებრივი შრომის რაოდენობა შეუმცირდეს (**понизить количество средняго общественнаго труда**). როგორც ვთქვით, ხელფასის დაცემა ქალის და მანქანურ შრომის შინაგან თვისებას არ შეადგენს; ის არის დამოკიდებული კერძო საკუთრებაზე დამყარებულ წარმოების პირობებზე. მხოლოთ კაპიტალისტურმა ექსპლუატაციამ გახადა ეს ორი ეკონომიური ფაქტორი ეხლანდელი ცხოვრების უბედურებათ, მუშის უარეს მდგომარეობაში ჩამყენებელ საშუალებათ. ქალის შრომა და მანქანა ბედნიერების ელემენტებს წარმოადგენენ მერშინთვის, შეიძლებენ საფუძველს, რომელზედაც უნდა აშენდეს უკეთესი საზოგადოებრივი წესწყობილების ორგანიზაცია.

მანქანა უადვილებს კაცს მძიმე და ხან-გრძლივ შრომას, საშუალებას აძლევს წარმოება გაამრავლ-სხვაფეროს და უკეთესი საზოგადოებრივი წყობილება შექმნას; რაც შეეხება ქალის შრომას—ის წარმოადგენს იმ ეკონომიურ საფუძველს, ურომლისოთ ქალთა ემანსიპაცია და უფლებრივი თანსწოროება შეუძლებელი იქნებოდა.

დედაკაცი, რომელიც, შრომის მხრივ, მამაკაცს გაუთანასწორდა, რომელმაც ეკონომიური დამოუკიდებლობა მოიპოვა, უნდა გაუთანასწორდეს მამაკაცს პოლიტიკურათაც და იურიდიულათაც. ქალთა საკითხი მართლა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ახალი ეკონომიური პირობები, რომელშიაც ქალი მოყვა, არსებულ საზოგადოებრივ და უფლებრივ წყობილებას დაუქვემდებაროთ; ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ საზოგადოებრივი წყობილება როგორმე ახალ ეკონომიურ პირობებს შევუთანხმოთ.

ქალთა საკითხი გადაწყდება მხოლოთ მაშინ, როდესაც წარმოების იარაღნი განსაზოგადოვდებიან. (**обобществленіе орудій производства**) მაშინ და მხოლოთ მაშინ შეიძლება მოისპოს ის უთანხმოება, რომელიც არსებობს ადამიანისა და მანქანურ შრომის შორის—ერთი მხრით და ქალისა და კაცის შრომის შორის—მეორე მხრით.

მაშინ, როგორც მანქანური, ისე ქალის შრომაც გამოიჩენენ თავიანთ ბუნებრივ ტენდენციას—კაცობრიობის საბედნიეროთ, საზოგადო-საჭირო შრომას (**общественно-необходимый трудъ**) შესაძლებელ მინიმუმამდის შეამცირებენ.

ახლანდელ დროში, რომ ქალის შრომის მოსპობა ან შემოსაზღვრა მოვიწადინოთ—ამით ქალს ისევ „ეკონომიურ მონათ გავხდით და, შეგნებულათ, გარყვნილების მორევში შევაცურებთ, მამაკაცს კი გავუორკეცებთ შრომას და გაცილებით უარეს მდგომარეობაში ჩავაყენებთ.

ჩვენდა სამწუხაროთ, პროგრესიულ ბანკიდანაც კი მოისმის ხოლმე ხანდახან ხმები ქალის შრომის აკრძალვაზე ან შემოსაზღვრაზე. რითი განსხვავდებიან ამნაირი ვითომდა პროგრესისტები იმ რეაქციონერებისაგან, რომელნიც სულით და გულით ცდილობენ აღადგინონ ძველი ცეხები (ამქრები), განსაცდელიდგან იხსნან ხელოსნობა, წვრილი წარმოება და წვრილი ბურჟუაზია.

მამაკაცისა და დედაკაცის შრომის ინტერესები ერთმანეთს მტრულათ არ უნდა დაუპირდაპირდეს; ეს ინტერესები, როგორც საერთო მუშათა ინტერესები, აუცილებლათ უნდა შევაერთოთ და კაპიტალისტთა ინტერესებს დაუპირდაპიროთ.

მართალია დედაკაცი, ეკონომიურათ, მამაკაცის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდა, მაგრამ, ამ მხრივ, ის დღეს კაპიტალიზმის უღელ ქვეშ მოყვა.

მუშა-კაცებისა და მუშა-ქალების მდგომარეობა დღეს არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. როგორც მუშა კაცები, ისე მუშა ქალებიც ერთნაირათ იტანჯებიან, ერთნაირათ წვალობენ, ერთსა და იმავეს თხოულობენ, ერთი სიტყით, ყველაფერში ერთნაირათ არიან დაინტერესებულნი. მართლა და რა საინტერესოა ქალისთვის, რომ რაც შეიძლება ნაკლებ ფასში იმუშაოს და მით მუშაკაცის ხელფასი დასწიოს! ქალის შრომის მოსპობა ან შეზღუდვა რომ მოვითხოვოთ, ამით დედაკაცთა შრომის მეტოქეობას ვერ მოვსპობთ...

თავის აუტანელი მდგომარეობიდან გამოსვლა პროლეტარიატს მხოლოდ მაშინ შეეძლება, როდესაც მუშა ქალები და მუშა კაცები შეიგნებენ თვის ინტერესთა სოლიდარობას, შეერთდებიან და საერთო ძალით გაიკაფავენ გზას უკეთეს მომავლისკენ.

მუშა-კაცების და მუშა-ქალების შეერთება, პოლიტიკურათ და საზოგადოებრივათ მათი გათანასწორება, არა თუ საჭირო და სასურველია პროლეტარიატისთვის,—არამედ აუცილებელია, რადგანაც ეს სიცოცხლის საკითხს წარმოადგენს მისთვის.

(შემდეგი იქნება).

ქურნალ-გაზეთებიდან.

თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის ქართველ მასწავლებლებმა კოლექტიური წერილი დასტამბეს გაზ. „ცნობის ფურცელში“ (№ 2828), რომელშიაც ჩვენ რედაქციის სავედურს უცხადებენ. ასეთი სავედური ამათ მხრით თურმე მარტო ამითი კი არ დაგვიმსახურებია, რომ ჩვენ ადგილი დავუთმეთ ბ-ნ ნ. ეიფეიანის წერილს, რომელიც სხვებულია სკოლის მასწავლებლების ეხებოდა, არამედ კიდევ უფრო იმითაც, რომ ჩვენ არ დავიჯერეთ დასხვლებული მასწავლებლების რჩევა და არ გამოვცხადეთ, რომ ეიფეიანის წერილში მოყვანილი ფაქტები „მტკნარი სიცრუეა“ ჩვენ კი ვურჩევდით შეურაცხყოფილ მასწავლებლებს: ან სასწინასწმდეგო წერილი დაებეჭდათ ან ბ-ნი ეიფეიანი სამეგობრო სამართალში გამოეწვიათ და ამ საშუალებით გაემართლებინათ თავი. მაგრამ თურმე ნუ იტყვით, თავის გამართლება იმათ ისე რიგათ როდი აწუხებთ, როგორც ჩვენთვის ჭკუის სწავლება: „ჩვენ გვსურდა—ამბობენ ხსენებული ბედნიერება—თავის გამართლების გარდა მიგვეთითებია „მოგზაურის“ რედაქციისთვის, რომ წინადაუხედავათ ჩირქის წაცხება, თუმცა სხვისი ხელით, მაგრამ რედაქციის ნებართვით, დასჯამობიაო“. ეგულისხმეთ ეს კარგი, მაგრამ ფაქტები სადაა, ბატონებო, ფაქტები? თქვენ ამბობთ, რომ წერილის დაბეჭდვა თქვენი მხრით შეუძლებელია თქვენგან დამოკიდებული (სწორედ: დამოუკიდებელი) მიზეზების გამო. მაგრამ ვისთვის აქვს დღეს ასეთ განცხადებას მნიშვნელობა? შეწორეთ ამას ეწოდება ნიაბების ჩამოფარება. ჩვენი რა ბრალია, რომ თქვენ ჭკუმარიტების გეშინიათ? ბოლოს თქვენ მიმართავთ მკითხველს და თხოვთ. მან გადაწყვიტოს, ვინ არის მართალი, რედაქცია თუ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლებიო“. ამას ქვია საქმის გადაფუჩეჩება. რათ გავიწყდებათ, ბატონებო, რომ თქვენ ბრალს ბ. ნ. ეიფეიანი ეძებთ და არა რედაქცია. ეს ხომ კარგათ ცხობილი იდიასებური ციდაა! ეწუხვართ, რომ თქვენც ამ დასაძრახ საშუალებისათვის მიგემართათ.

—

ერთი ახირებული ფელეტონის-მწერალი გაზ. „ცნობის ფურცელს“ გაუჩნდა. ეს გახლავთ ბ-ნი გ. რ. ეს ახალი გამოჩენილი მწერალი უბრალო საგნებსაც არ ეხება, ის სულ ფელეტონურ და ისტორიულ-სოციოლოგიურ კითხვებს არკვევს, მაგრამ რაღაცნაირ სიფრთხილე მეტათ თხელი აქვს, ამიტომ მისი ამ სახეობაზე ვარჯიში მხოლოდ მარცხით თავდება. მოგეხსენებათ როგორ დამხრცხდა იგი სანეონალიზმისთვის ახალი საფუძვლის გამოძებნის დროს. მაგრამ იგი მაინც თავისას არ აშლის აი სხვათა შორის რას გვეუბნება ბ-ნი გ. რ. (იხილე „ცნობ. ფურც.“ № 282) *).

*) ინტერესების წინააღმდეგობა ცხადია, მაგრამ ეს წინააღმდეგობა მაინც იმ სახისა არ არის, რომ მოწინააღმდეგეთა შორის არავითარი საერთო ნიადაგი არა რჩებოდეს; პირიქით, ეს საერთო ნიადაგი ურთიერთობისა აქ ძალიან დიდია და ძლიერი: კაპიტალისტს უმუშოთ ცხოვრება არ შეუძლიან, მუშას უკაპიტალისტოთ, ამიტომ ისინი აუცილებლათ ცდილობენ შეთანხმების და შეკავშირების. საერთო ნიადაგს აქ ის წარმოადგენს, რომ კაპიტალისტთა კლასს მიზნათ მუშათა კლასის მოსპობა არა აქვს და მუშათა კლასს კიდევ—კაპიტალისტთა საერთო მტერი, რადგანაც ის ყველა დამიწის პირიდან; ორივენი კერძო საკუთრების წაგებაში დგანან და აი სწორეთ ეს კერძო საკუთრებაა, რომელსაც—ორივენი ურგებიან და რომელიც შესაძლოთ და თან აუცილებლადაც ხდის მათ შორის ბრძოლასაც და შეთანხმებასაც.

„ასეთი მსჯელობა მეტათ დამახასიათებელია ჩვენი ავტორისთვის. იგი ან ვერ ხედავს არ იცნობს მუშათა თანამედროვე მოძრაობას, ან განზრახ ამახინჯებს ჭეშმარიტებას. ჩვენ არ გვმობით იმას, რომ ბ. გ. რ. წმინდა ბურჟუაზიული თვალით უყურებს კითხვას. იგი, მაგ., სრულ სამასულდგმულოდ დაღდების, როცა გვეუბნება, რომ კაპიტალისტთა კლასს მიზნათ მუშათა კლასის მოსპობა არა აქვსო. მართალია იგი იმაშიც, რომ კაპიტალისტს უმუშოთ ცხოვრება არ შეუძლია, ხოლო შეუძლია თუ არა მუშას უკაპიტალისტოთ ცხოვრება,—ეს კიდევ სულ სხვა საკითხია. მაგრამ სიამაყით გამოიცვანა ჩვენმა ავტორმა ის დასკვნა, რომ როგორც კაპიტალისტების კლასს არა აქვს მიზნათ მუშათა კლასის მოსპობა, ისე კიდევ მუშათა კლასს კაპიტალისტების კლასის სასიკეთოთ აღგვა დედამიწის პირიდანო. კაპიტალისტთა კლასს რომ არ უნდა მუშათა კლასის მოსპობა, ეს ეგულისხმოთ ვის აშკარაა, რადგანაც კაპიტალისტების არსებობა ისე შეუძლებელია. სულ სხვაა მუშათა კლასი: კაპიტალისტები იმათი მჩაგვრელები, ისინი იმათი ნაოფლარით ძღებიან და სუქდებიან, გინა შეიძლება შეგნებულ მუშებს კაპიტალისტების მოსპობა არ სურდეს? ეს მხოლოთ ბ-ნ გ. რ-ის ოცნებაში თუ შეიძლება, თორემ სხვაგან არსად. რაც შეეხება ჩვენი ავტორის აზრს, რომ მუშები და კაპიტალისტები „აუცილებლათ ცდილობენ შეთანხმების და შეკავშირებისო“,—ესეც ჭეშმარიტების დამახინჯებაა, და მეტი არაფერი. რომელ შეთანხმებაზე ან შეკავშირებაზე გვეუბნება აქ ავტორი? ჩვენ ეს ვერ გაგვიგია, და სჯობსო ამას ავტორი განგვიმარტავდეს.

ბ-ნ გ. რ-ს გამოეკამათა თავისებური, გაზ. „ივერიაც“. მაგრამ ამ უკანასკნელმა სულ სხვა ნიადაგზე გადაიტანა საუბარი და ისეთი კუდი გამოაბა, რაც სრულებით მოსალოდნელი არ იყო „ივერიას“ ამბობს, რომ „პოლიტიკურ სფეროში სხვა კლასებთან შეერთება უკეთეს პოლიტიკურ წეობილების მოსპობამდის არ უძღვებს მშრომელ ხალხ კლასისობრივ შემეცნებასა და თავის ინტერესების შეგნებასო“. შეიძლება ეს ასეც იყოს, მხოლოთ ეს დამოკიდებულია ამაზე, თუ რანაირათ არის განვითარებული მშრომელ ხალხში კლასობრივ ინტერესის შეგნება. უმეტეს შემთხვევაში ასეთი შეერთება არათუ უძნელებს, არამედ აბრკოლებს და ახერებს კლასობრივ შეგნების მუშა ხალხში. ეს ხდება უმთავრესათ მაშინ, როცა ბურჟუაზიის იდეოლოგები დემოკრატიულ ქერქში ახვევენ თავის ბურჟუაზიულ მიზნებს. სწორეთ ამას ჩადის დღეს ჩვენში „ცნობის ფურცელი“ და კიდევ უფრო თვით „დემოკრატული“ „ივერიაც“ ბ-ნ გ. რ—ს ამიტომ გამოეკამათა ეს უკანასკნელი, რომ იმის მსჯელობისათვის თავისებური კუდი გამოება. აი ეს კუდიც: „თუ სახოგადოთ რუსეთის შესახებ შეიძლება ვთქვათ,—გვეუბნება წერილს ავტორი,—რომ ყველასთვის თანასწორათ თავისუფალი წესწყობილების მოთხოვნა სხვა და სხვა კლასთაგან მუშა ხალხს არ არომევს კლასობრივ ნიადაგს:.... ასე საქართველოშიაც შესაძლებელია წამოეენებულ იყოს ასეთი საერთო ხოლიტიკური მოთხოვნა, რომლის განხორციელებაც თავისუფალთ და დაუბრკოლებრივ განვითარების საშუალებას შეუქმნის როგორც თითოეულ სახოგადოებრივ კლასს, ასე მთელ ერს, მთელ სახოგადოებასო“. როგორც ხედავთ ეს კუდი საქართველოს ავტონომია გახლავთ, რომელსაც ჩვენი ბურჟუა-დემოკრატები ოფიციალ მხრიდან ძალათ ახრაენ მუშა ხალხს.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го Мая 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.